


# ოზურგეთის ტექნოპარკში ადგილობრივ მეწარმეებთან შეხვედრა გაიმართა



ოზურგეთის ტექნოპარკში პროფესიული უნარების სააგენტოს, საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის ერთობლივ ინიციატივით და სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციის მხარდაჭერით ადგილობრივ მეწარმეებთან შეხვედრა გაიმართა, რომელსაც გურიაში სახელმწიფო რწმუნებული გიორგი ურუშაძე, პირველ მოადგილესთან ქეთევან მოისწრაფეშვილთან და პროფესიული უნარების სააგენტოს გენერალურ დირექტორთან თამარ ქიტიაშვილთან ერთად დაესწრო.

–,, *გურიის რეგიონში გაიმართა საინტერესო შეხვედრა ბიზნეს სექტორის წარმომადგენლებთან, სადაც განხილული იქნა მათ წინაშე არსებული გამოწვევები შრომის ბაზარზე პროფესიულ კადრებთან დაკავშირებით. რეგიონში უკვე გვაქვს შესაძლებლობა სამივე მუნიციპალიტეტში პროფესიულმა სასწავლებელმა მიიღოს და გადაამზადოს კადრები შესაბამისი პროფესიებით. ჩვენი მხრიდან მაქსიმალურად ვიქნებით ჩართულები, რათა ბიზნეს სექტორმა შეძლოს იმ სერვისებით სარგებლობა, რასაც სთავაზობს მათ სახელმწიფო*“,– აღნიშნა **გიორგი ურუშაძემ.**


# ალიონი

გურია

უძველესი გაზეთი უახლესი ინფორმაციებით!

გაზეთი გამოდის 1931 წლის 5 იანვრიდან

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი.

ყოველკვირეული გამოშვება. № 16 (10452) 11 ივლისი, 2023 წ. ფასი 80 თეთრი.


# საკრებულოს სხდომა, მორიგი ჩხუბითა და დაპირისპირებით



**ალიონი.** 5 ივლისს, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომა გაიმართა, რომელიც წინა სხდომისგან მხოლოდ იმით გამოირჩეოდა, რომ ამჯერად ერთიანი ნაციონალური მოძრაობის დეპუტატებმა საკრებულოს თავმჯდომარეს **დავით დარჩიას** სხდომის დღის წესრიგის წაკითხვის საშუალება მისცეს. შემდეგ კი ტრადიციული დაპირისპირება დაიწყო.

ერთიანი ნაციონალური მოძრაობის დეპუტატმა **თათია ნიკოლაშვილმა** დაბა ურეკში (მაგნეტიტი) არსებულ მდგომარეობაზე ისაუბრა და ხელისუფლებას პრობლემის მოგვარებისკენ მოუწოდა.

*–დატბორილია ქუჩები, არ არის სანიაღვრე არხები და ამის გამო ირგვლივ ანტისანიტარიაა. ამაზე ბევრი ადამიანი საუბრობს, რომლებიც სხვათა შორის არ არიან ნაციონალური მოძრაობის მომხრეები.* –განაცხადა ნიკოლაშვილმა და იქ არსებული პრობლემების ამსახველი ფოტოებიც წარმოადგინა.

*– ცუდია, რომ ვერ ხედავთ ურეკში განხორციელებულ ინფრასტრუქტურულ პროექტებს. ეს პრობლემები წინა ხელისუფლების დროს, 2008 წლამდე წარმოიქმნა დაბა ურეკში, კერძო ნაკვეთების არასწორი განაწილების დროს დაიკეტა სანიაღვრე არხები* – უპასუხა მერის პირველმა მოადგილემ **გიორგი ღურჯუმელიძემ.**

*–12 წელი რას აკეთებდით? მილიონები დაიხარჯა და არაფერია გაკეთებული* –აცხ-

გვ–3

# ლანჩხუთი –მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურული პროექტებით



ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში ბოლო წლებში მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურული პროექტები განხორციელდა და წარმატებული ნაბიჯები გადაიდგა ტურიზმის განვითარებისთვის. ამ და სხვა თემებზე გაზეთ ,,ალიონს“ ესაუბრა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერი **ალექსანდრე სარიშვილი:**

***– ბატონო ალეკო, რა ინფრასტუქტურული პროექტები განხორციელდა და ამჟამად მიმდინარეობს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში?***

–ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში რამდენიმე მიმართულებით მიმდინარეობს ინფრასტრუქტურული სამუშაოები. მივყვეთ დარგობრივად:

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პროექტი გაზიფიცირების სამუშაოებია, რაზედაც შარშან გაკეთდა პროექტი და წელს დაიწყო მშენებლობა. **მუნიციპალიტეტის 4 ტერიტორიულ ერთეულში (ჩოჩხათი, ნიგვზიანი, ჯურუყვეთი, ნინოშვილი) შემავალ 16 სოფელში 3 000 აბონენტი ჩაერთვება ქსელში.** ამ პროექტის დასრულების შემდეგ მუნიციპალიტეტში არც ერთი ოჯახი დარჩება ბუნებრივი აირის გარეშე. სამუშაოები წლის ბოლომდე დასრულდება. სავარაუდოდ, გაზაფხულზე მშენებელი კომპანია დასრულებულ ქსელს გადააბარებს ,,სოკარს.“

მეორე მნიშვნელოვანი გამოწვევა მუნიციპალიტეტში წყალმომარაგებაა. წლების განმავლობაში, ჩვენი ძალებით ვცდილობდით ცალკეული პრობლემის მოგვარებას, მაგრამ ეს საკმარისი არ არის. **გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიამ უკვე დაიწყო მუშაობა და 12 სოფელში მიმდინარეობს ახალი ქსელების გაყვანა, საქლორატოროების დაყენება, (ჯურუყვეთი, ღრმაღელე, აკეთი, ჩოჩხათი).**

ახალი ქსელები სტანდარტების დონეზე მოეწყობა და მოსახლეობას მიეწოდება გაფილტრული სასმელი წყალი. იმ სოფლებში, სადაც ადრე იყო ქსელები გაყვანილი, საქლორატორობში გავლის შემდეგ წყლის ხარისხი გაუმჯობესდება.

ვფიქრობ, ისევე როგორც გაზიფიცირებისას, ადრე ელექტროფიცირებისას, გაერთიანებული წყალმომამარაგების კომპანიამ უნდა აიღოს ფინანსური ვალდებულებები და გააგრძელოს მუშაობა.

***– რეგიონში ბოლო წლებში მნიშვნელოვანი სამუშაოები განხორციელდა საგზაო ინფრსტრუქტურის მოსაწესრიგებლად. რა სამუშაოები მიმდინარეობს თქვენთან ამჟამად ამ კუთხით?***

– ბოლო პერიოდში მნიშვნელოვანი პროექტები განხორციელდა და ამჟამადაც გრძელდება, რადგან როგორც ქალაქში, ისე სოფლებში მოსაწესრიგებელია შიდა გზები.

ქალაქ ლანჩხუთში, გასულ წელს 10 ქუჩა მოასფალტდა, ქალაქთან ახლოს მდებარე სოფელ ორაგვეში ასავლელ 4 კილომეტრიან გზაზე დაიგო ასფალტ-ბეტონის საფარი

ყველაზე დიდი პროექტი კი **შუხუთიდან აკეთის დამაკავშირებელი 8-კილომეტრი გზის მშენებლობა იყო, რაზედაც 4 მილიონი ლარი დაიხარჯა.** ეს პროექტი დაახლოებით ერთი თვის წინ დასრულდა და ვფიქრობთ ეს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი შენაძენია მუნიციპალიტეტისთვის. ეს არის მოკლე გზა სოფელ ნაგომრის გავლით ოზურგეთისაკენ და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტისაკენ. გზა საკმაოდ ფართოა (5,5 მ.)

12 ადმინისტრაციულ ერთეულში მოწესრიგდა შიდა სასოფლო გზები, რაზედაც 3,5 მილიონი ლარი დაიხარჯა.

ასევე მნიშვნელოვანი გახლდათ სუფსა-წყალწმინდის მიმართულებით საავტომობილო გზის მდგომარეობა. **ამჟამად მიმდინარეობს 5,5 კილომეტრი გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები,** ასფალტის დაგება ამ დღეებში დასრულდება და იგი 5 კილომენტრით შეამცირებს სუფსა-წყალწმინდის გზის სიგრძეს. ამ გზით ისარგებლებს რამდენიმე სოფლის

გვ–3

# გაზეთი „ალიონი“ სარეკლამო მომსახურების ტარიფები

– მე-2 მთლიანი გვერდის (648 კვ.სმ) ღირებულება 120 ლარია;
– მე-3-7 (თითოეული 810 კვ. სმ) მთლიანი გვერდებისა – 150-150 ლარი;
– 1-ლი, ფერადი გვერდი მთლიანად (810 კვ. სმ) არ იყიდება, ნახევარი გვერდის (405 კვ. მ) ღირებულება 300 ლარია;
– ბოლო, მე-8, ფერადი გვერდი მთლიანად 300 ლარი ღირს;
– შიდა შავთეთრ გვერდებზე ფერადი ბეჭდვის შემთხვევაში გვერდის საფასური 50 ლარით იზრდება.
– პოლიტიკური რეკლამის ღირებულება ორმაგია;
– მილოცვა ფერად გვერდზე 32,40 კვ. მ-ზე, სურათით - 25 ლარი;
– სამგლოვიარო განცხადება - სიტყვა 25 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;
– გახსენება, ნეკროლოგი – სიტყვა 20 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;

**საცალო ფასი: 80 თეთრი,**
**ხელმოწერა:**
**ერთი თვით – 3,20 ლარი,**
**სამი თვით – 9,60 ლარი,**
**6 თვით –16 ლარი,**
**ერთი წლით – 32 ლარი.**

*გაზეთში გამოქვეყნებული მასალების შინაარსი შეიძლება არ ემთხვეოდეს რედაქციის თვალსაზრისს.*

*ავტორები თვითონ არიან პასუხისმგებელი ინფორმაციის სიზუსტეზე.*

*რედაქციაში აუდიოჩანაწერები ინახება ორი კვირის განმავლობაში, ამ ვადის გასვლის შემდეგ პრეტენზიები აღარ მიიღება.*

*რედაქცია ავტორებისაგან არ მიიღებს სამ ხელნაწერ გვერდზე მეტ მასალას.*

*გამოქვეყნებული მასალების გადაბეჭდვა აკრძალულია რედაქციიდან ნებართვის გაცემის გარეშე.*


## სარედაქციო კოლეგია

რედაქტორი
**ნუგზარ ასათიანი**
nugzarasatiani15@gmail.com
558 499100

კომპიუტერული უზრუნველყოფა
**გიორგი გოგოლაძე**
gia_77@mail.ru
551 576060

რედაქციის მისამართი: ქ. ოზურგეთი, გაბრიელ ეპისკოპოსის ქ.№3
ტელ: 558 499 100 გაზეთი რეგისტრირებულია ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში 18. 11. 2004 №44/4-311
გაზეთი იბეჭდება გამომცემლობა „მერიდიანში“
მის: თბილისი, ვ. ბაგრატიონის ქ. №77


**დაიწყეთ ყოველი ოიშაბათი ალიონზე**

**«ალიონით»**

# ჩოხატაურის მუნიციპალიტეტი ევროპის მდგრადი ენერგეტიკის კვირეულს შეუერთდა



კოლეჯ „ჰორიზონტში“, სკოლის მოსწავლეების ჩართულობით, საინფორმაციო შეხვედრა გაიმართა, რომლის მიზანსაც წარმოადგენდა ცნობიერების ამაღლება გარემოსდაცვითი მიმართულებით, ენერგოეფექტურობისა და განახლებადი ენერგიის შესახებ.

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტი 2017 წლიდან „მერების შეთან-ხმების“ ხელმომწერია.

„მერების შეთანხმება კლიმატისა და ენერგეტიკისთვის აღმოსავლეთ პარტნიორობა“ კლიმატური ცვლილების საწინააღმდეგოდ და მდგრადი ენერგეტიკის განვითარებისკენ მიმართული ადგილობრივი, რეგიონული და ეროვნული ხელისუფლების სწრაფმზარდი, ევროკომისიის მიერ მხარდაჭერილი ინიციატივაა. ეყრდნობა მუნიციპალიტეტების ნებაყოფლობით ვალდებულებას, გააუმჯობესონ თანამოქალაქეების ცხოვრების დონე განახლებადი ენერგორერსურსებისა და ენერგოეფექტურობის საშუალებით.

გუთურის საჯარო სკოლის ეკოკლუბის მოსწავლეებმა წარმოადგინეს პრეზენტაცია გარემოსდაცვითი მიმართულებით განხორციელებული პროექტების შესახებ.

გაიმართა თომა ჩაგელიშვილის დოკუმენტური ფილმის ჩვენება „ენერგოეფექტურობა ტრადიციულ ქართულ არქიტექტურაში“.

მონაწილეებს მადლობის სიგელები გადაეცათ.

შეხვედრას ესწრებოდნენ ადგილობრივი თვითმმართველობის ხელმძღვანელი პირები, სკოლის მოსწავლეები, პედაგოგები და კოლეჯ „ჰორიზონტის“ წარმომადგენლები.

# გრძელდება შიდა საუბნო გზების ბეტონის საფარით მოწყობა



ერკეთის ადმინისტრაციულ ერთეულში, ქვემო ონჭიქედში, განხორციელებული საგზაო ინფრასტრუქტურა ჩოხატაურის მერმა **დავით შარაშიძემ** ადგილობრივი თვითმმართველობის ხელმძღვანელ პირებთან ერთად მოინახულა.

ბეტონის საფარი დაიგო 1,367 კმ მონაკვეთზე; მოეწყო მილხიდები, სანიაღვრე არხები, კიუვეტები და ცხაურები.

სამუშაოები რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დაფინანსდა.

პროექტის სრული სახელშეკრულებო ღირებულება 525 647 ლარია.

შემსრულებელი კომპანიაა „გზები და კეთილმოწყობა“.

# ანსამბლი „ხელხვავი“ 50 წლისაა

ანსამბლი „ხელხვავი“ (ხელმძღვანელი ბიძინა მჟავია) 50 წლისაა. საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით ლანჩხუთის კულტურის ცენტრში ღონისძიება გაიმართა, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს ანსამბლებმა: „ხელხვავი“, „ცისიერი“, „აცაურა“, „მხედრები“ და ქორეოგრაფიული ანსამბლი „იმედი“, ვანის მუნიციპალიტეტის ანსამბლმა „შუამთა“ და ოზურგეთის მუნიციპალიტეტის კულტურისა და მოსწავლე/ახალგაზრდობის ცენტრთან არსებული ანსამბლმა „იადონი“.

*– ვულოცავ ანსამბლ „ხელხვავის“ თითოეულ წევრს ამ მნიშვნელოვან თარიღს. ეს ადამიანები ათწლეულების მანძილზე ღირსეულად ემსახურებოდნენ ქართული ფოლკლორის დაცვას, შენარჩუნებასა და პოპულარიზაციას. მშვიდობას, ჯანმრთელობას და კეთილდღეობას გისურვებთ! დიდხანს იყავით ქართული ხალხური სიმღერის სადარაჯოზე* – აღნიშნა ლანჩხუთის მერმა **ალექსანდრე სარიშვილმა.**

ღონისძიებას ლანჩხუთის მერი ალექსანდრე სარიშვილი, სახელმწიფო რწმუნებული გურიის მხარეში გიორგი ურუშაძე, საკრებულოს თავმჯდომარე ბესიკ ტაბიძე და ადგილობრივი ხელისუფლების სხვა წარმომადგენლები ესწრებოდნენ.



# დაზგური გრაფიკისა და ბეჭდური მხატვრობის გამოფენაზე



**ალიონი.** 8 ივლისს ქ. ოზურგეთში, მერაბ ბერძენიშვილის სახელობის თანამედროვე სახვითი ხელოვნების ცენტრში საზეიმოდ გაიხსნა შემოქმედებითი სახელოსნო GURINA-ART წევრთა და მოწვეულ მხატვართა დაზგურის გრაფიკისა და ბეჭდური მხატვრობის გამოფენა.

ცენტრთან არსებულმა სტუდია-სახელოსნომ GURIA ART წელს მეშვიდეთ უმასპინძლა ქართველ და უცხოელ მხატვრებს. წელს პროექტი სამ ეტაპად ჩატარდა.

საინტერესოა, რომ წელს გამოფენაში ლიეტუველი მხატვრები კუსტუსის ვასილიუნასი, რობერტავაიბელტაიტე-ვასილიუნიენე (ვილნიუსი) და ევალდას მიკალაუსკისი (კაუნასი) იყვნენ წარმოდგენილი. საქართველოდან: ვახტანგ მეგრელიშვილი, ზურაბ ჭედია (თბილისი), თანდილა თავართქილაძე, მაია გოგოტიშვილი, მაია თავამაიშვილი, ხათუნა ბებურიშვილი, ნინო გორდელაძე, ნინო პატარავა, მარიამ დოლიძე, თამარ ინარიძე (ოზ-ურგეთი).

გამოფენის გასნაზე სიტყვებით გამოვიდნენ: ხელოვნებათმცოდნე **ლია ურუშაძე,** ოზურგეთის თანამედროვე სახვითი ხელოვნების ცენტრის დირექტორი **ავთანდილ თავართქილაძე,** საქართველოს მხატვართა კავშირის თავმჯდომარე **გურამ ცერცვაძე**, აფხაზეთის მხატვართა კავშირის თავმჯდომარე **ზურაბ ჭედია,** თბილისის სამხატვრო აკადემიის პროფესორი **ვახტანგ მეგრელიშვილი,** მხატვარი **ვახტანგ მამეიშვილი** და სხვები.

გამოფენა ერთ თვეს გაგრძელდება (ვრცლად გაზეთ „ალიონის“ მომდევნო ნომერში).

# მარიამ მარჯანიშვილის წიგნი-ალბომი წარადგინეს

ოზურგეთის ისტორიულ მუზეუმში შედგა მარიამ მარჯანიშვილის წიგნი-ალბომის „დერჩის ქვების ღალადისი“ -ს წარდგენა.

წიგნი ეხება უზბეკეთში მოღვაწე, ქართველი ემიგრანტ მოქალაქეს ნოდარ ბანძელაძეს. ნოდარ ბანძელაძეს შექმნილი აქვს მცირე და დაზგური პლასტიკის 400 ამდე ნამუშევარი, აქედან 30 ნამუშევარი დაცულია ტაშკენტის სამხატვრო მუზეუმში, 20 ქანდაკება სამარყანდის ხელოვნების ისტორიულ მუზეუმში და ლატვიის მუზეუმში. ნოდარ ბანძელაძე გახლავთ პირველი მოქანდაკე, რომელმაც საფუძველი ჩაუყარა უზბეკური ეპოსის მცირე პლასტიკაში ასახვის ტრადიციას, რომლის ნამ-უშევრებიც წარდგენილი იყო მსოფლიო გამოფენებზე: ინგლისში, იაპონიაში, საფრანგეთში, ბელგიასა და მონღოლეთში. პრეზენტაციას ესწრებოდნენ საფრანგეთიდან ისტორიული ემიგრანტის – ნოე რამიშვილის შვილიშვილი, მიშელ რამიშვილი მეუღლესთან ერთად.

ემიგრანტ კვიროსი ჩხაიძის შვილი – ლავრენტი ჩხაიძე და ოზურგეთის საზოგადოების წარმომადგენლები.



# ლანჩხუთი –მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურული პროექტებით



მოსახლეობა.. ეს პროექტი (3 მილიონი ლარი) გზების დეპარტამენტის დაფინანსებით განხორციელდა.

***– შავიზღვისპირა ზოლის მოვლა-პატრონობის მდგომარეობაც გაგვაცანით...***

–ყვავილნარი-გრიგოლეთის გზა მოწესრიგებულია. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიას ეკუთვნის 7 კილომეტრი საზღვაო ზოლი. მესამე წელია საქართველოს მყარი ნარჩენების კომპანიამ მუნიციპალიტეტს გადმოსცა 6 ტრაქტორი, 2 ექსკავატორი და 2 სილის საცრელი სპეციალური ტექნიკა, რომლითაც ყოველდღიურად ასუფთავებენ პლიაჟს. ამ სამუშაოებს სეზონზე 57 ადამიანი ემსახურება.

ძალიან კმაყოფილი ვართ სამაშველო სამსახურის კარგი მუშაობით. ჩვენი მიზანია, აქ ჩამოსულ ტურისტს დავახვედროთ სუფთა, მოწესრიგებული და უსაფრთხო გარემო. გრიგოლეთს ამისთვის ყველა პოტენციალი აქვს.

***–ქვეყნისთვის ერთ-ერთი პრიორიტეტი სკოლებისა და ბაღების ახალი მშენებლობებია..***

–დავიწყოთ ბაღებით: ბოლო წლებში მუნიციპალური ფონდის დაფინანსებით რამდენიმე საბავშვო ბაღი იქნა აგებული. **სოფელ აცანაში და სოფელ ხაჯალიაში აშენდა 2 ორჯგუფიანი საბავშვო ბაღი. ბაღებზე 4,3 მილიონი ლარი დაიხარჯა.** ეს ბაღები სტანდარტების გათვალისწინებითაა აგებული. უკვე გამოცხადდა ტენდერი, ახალი ბაღის შენობები ყველა საჭირო ინვენტარით აღიჭურვება და ახალი სასწავლო წლიდან ამოქმედდება.

განათლება არის ჩვენი პრიორიტეტი და საქართველოს პრემიერის ინიციატივის შესაბამისად **ჩვენს მუნიციპალიტეტში კიდევ 5 ახალი ბაღი (ღრმაღელე, გულიანი, ნინოშვილი, აკეთი, ნიგვზიანი) აშენდება.** უკვე დასრულდა ტენდერები და მიმდინარეობს მათი პროექტირება.

ასევე პრემიერის ინიციატივას, ყველა სოფელში გვქონდეს მოწესრიგებული სკოლები, ჩვენს ბავშვებს მოწესრიგებული გარემო, – **სოფელ ნიგოითსა და ჯურუყვეთში აშენდება ახალი სკოლები.** მომავალი წლიდან მოხდება ქ. ლანჩხუთის №1, შუხუთის და ღრმაღელის სკოლების რეაბილიტაცია.. ეს პროექტი გაგრძელდება.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტისთვის **დიდი შენაძენია თანამედროვე პროფსასწავლებელი,** სადაც 150 ახალგაზრდა შეისწავლის 6 სხვადასხვა პროფესიას.

***– როგორ ხორციელდება სოციალურად დაუცველთა სახელმწიფო პროგრამა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში?***

–გარდა იმისა, რომ სოციალურად დაუცველები სახელმწიფოსაგან გარკვეულ დახმარებას იღებენ, მათ მიეცათ შანსი დამატებითი შემოსავალი მიიღონ და ჩართულნი იყვნენ საზოგადოებისთვის საჭირო შრომაში.

**ჩვენს მუნიციპალიტეტში ამ კუთხით 500-ზე მეტი ადამიანია დასაქმებული სხვადასხვა ლოკაციაზე.** მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოვლილი და დასუფთავებულია ყველა სასაფლაო, რაზედაც მადლობას გვიცხადებენ სადღესასწაულო და სხვა დღეებში ჩამოსული სტუმრები. უვლიან სკვერებს, გზისპირა ზოლებს, სანიაღვრე არხებს და ა.შ. დასაქმებულნი არიან მუნიციპალურ შენობებში დამლაგებლად, დარაჯად. მუშაობენ წყალსადენებზე და ა.შ.

***– არ შეიძლება არ აღვნიშნოთ ქალაქ ლანჩხუთის ცენტრში განხორციელებული პროექტები..***

–პრემიერ მინისტრის ინიციატივის შესაბამისად მოწესრიგდა ქალაქის ცენტრალური მოედანი, სკვერი, ბილიკები. რეაბილიტაციის სამუშაოები ჩაუტარდა 10 შენობას. ქალაქის მოწესრიგებული პარკი აქაურთა საყვარელი ადგილია.

კიდევ 10 ქუჩის რეაბილიტაციის სამუშაოებია გათვალისწინებული. ებრალიძის ქუჩაზე ჩვენი წილობრივი მონაწილეობით მოეწყობა სკვერი.

***–გურიაში თანდათან მატულობს ვიზიტორი ტურისტების რაოდენობა. რა სიახლეები გაქვთ ამ კუთხით?***

– 15 ათასი ჰექტარი უკავია კოლხეთის ეროვნულ პარკს, საიდანაც 3/4 ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზეა. საპილოტე რეგიონების განვითარების პროგრამის ფარგლებში **გამოგვეყო 1,7 მილიონი ლარი და მოეწყო კოლხეთის ეროვნულ პარკთან მისასვლელი 9 კილომეტრი გრუნტის გზა.** მიყვანილია ელექტროხაზები.

მოეწყო საპიკნიკე, საპარკინგე და სხვა ლოკაციები. **უნდა შევიძინოთ 2 ელექტროძრავიანი ნავი, რომლელთა ღირებულება 60 ათას დოლარს შეადგენს.**

ვგეგმავთ გრუნტის გზის ასფალტირებას და ვფიქრობთ კოლხეთის ეროვნული პარკის ვიზიტორთა რაოდენობა მნიშვნელოვნად გაიზრდება.

ასევე ზემოთდასახელებული პროექტის ფარგლებში სოფელ ორაგვეში, სადაც დედათა მონასტერია, ჯუმათის მამათა მონასტრამდე **მოეწყობა 4 კილომეტრი ბეტონის საფარიანი ველობილიკი,** საპიკნიკე ადგილები. **პირველად რეგიონში გვექნება ზიპლაინი,** რომელიც მთიდან სოფელ ორაგვეში დაეშვება.

ესაუბრა **ნუგზარ ასათიანი**

# საკრებულოს სხდომა, მორიგი ჩხუბითა და დაპირისპირებით



ადებდა ნიკოლაშვილი.

*– გყავთ თქვენი ტელევიზიები და დგამთ შოუებს. რატომ არ გაინტერესებთ როგორ ვასუფთავებთ პლაჟებს, შენ პოლიტიკაში ახლა იწყებ შესვლას, ნოლ პროცენტიანი პოლიტიკოსი ხარ. შეგიძლია წახვიდეთ მიიღო რუჯი დაწკრიალებულ პლიაჟზე და ცოტა სიმშვიდე შეიმარჩუნე* – უპასუხა ნაციონალი დეპუტატის მორიგ ბრალდებებს მერის პირველმა მოადგილემ.

სხდომაზე ნიკოლაშვილმა ყოფილი პრეზიდენტი ახსენა, ის რომ ყოფილიყო ,,ვალინკებით‘‘ ჩადგებოდა არხშიო.. შემდეგ ქართული ოცნების ერთ-ერთმა დეპუტატმა იკითხა –ვინაა თქვენი ლიდერიო..

*–თქვე მამაცხონებულებო, ჯერ იყო და გახარიას მამას ეძახდით და ახლა დედის სულს აგინებთ, მერე სალომეა ჩვენი დედოფალიო და ახლა კეტით დასდევთ და კიდევ ჩვენ ვერ გაგვირკვევია ვინაა ჩვენი ლიდერი? ჩვენ ოპოზიცია ვართ და იმაზე უნდა დავსვათ კითხვა, რაც არ გაკეთებულა. ჩვენ ქცევაზე რომ აკეთებთ აქცენტს, როგორ იქცევიან თქვენი პარლამენტარები, აქ კი ისე იქცევით თქვენ. დასვა დეპუტატმა კითხვა, გაეცით პასუხი*– მიმართა საკრებულოს ოპოზიციონერმა დეპუტმა **გოჩა შარაშენიძემ.**

ემოციური ფონის შემდეგ იქ დამსწრე ტელევიზიებმა კომენტარებისთვის გაიყვანეს დარბაზიდან პოზიცია-ოპოზიციის წარმომადგენლები. სხდომა გაგრძელდა.

განხულულ საკითხებს ნაციონალი დეპუტატების ნაწილმა დაუჭირა მხარი.

სხდომის დასასრულს, განცხადება გააკეთა ნაციონალმა დეპუტატმა **თორნიკე გოგუაძემ.** მან ძიმითინასაკირალის გზაზე უპატრონოდ მიტოვებულ ძაღლებზე ისაუბრა.

*–გუშინ 25-მდე მიტოვებული ძაღლი დავთვალე. ისინი არ არიან დაჩიპული და შესაბამისად არც სტერილიზაცია აქვთ ჩატარებული.ეს კი ქმნის იმის საშიშროებას, რომ ისინი გამრავლდნენ და მათმა რაოდენობამ მოიმატოს. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტს ამ კუთხით თანხები აქვს გამოყოფილი* – განაცხადა გოგუაძემ

გიორგი ღურჯუმელიძემ მას განუმარტა, რომ ბიუჯეტი წლიურად 350 ძაღლის ეტაპორივ გაყვანა-მომსახურებას და შემდეგ მათ ადგილებზე დაბრუნებას ითვალისწინებს

სხდომაზე საკრებულოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილე **ლავრენტი ბიგვამამ** საკრებულოს რეგლამენტში ცვლილება შემოიტანა და ამიერიდან სხდომები ყოველი თვის ბოლო ოთხშაბათს გაიმართება.

# „სამკუთხადან“ საქართველოს ნაკრებამდე

წელს, საქართველოს ფეხბურთელთა 21 წლიანთა ნაკრები წარმატებით გამოვიდა ევროპის ჩემპიონატზე, სადაც დაამარცხა პორტუგალიის ახალგაზრდული ნაკრები (2:0). ფრედ ითამაშა ასევ ძლიერ ბელგიის (2:2) და ჰოლანდიის (1:1) ნაკრებებთან და ჯგუფში 5 ქულით პირველი ადგილი დაიკავა. შემდეგ ეტაპზე ისრაელის ნაკრებთან პენალტების სერიაში (5:3) დამარცხდა. საქართველოს ნაკრების შემადგენლობაში ოზურგეთელი **ნოდარი ლომინაძეც** გამოდიოდა, რომელიც ამ დღეებში რედაქციაში გვესტუმრა და მის სპორტულ ბიოგრაფიაზე და ჩემპიონატის შესახებ გვესაუბრა:

*– ფეხბურთის თამაში 8 წლის ასაკში დავიწყე. პირველი მწვრთნელი გოჩა როყვა იყო. თქვენს რედაქციასთან თანატოლს გიორგი კილურაძეს ვხდებოდი და ერთად მივდიოდით ვარჯიშზე ,,სამკუთხაზე.‘‘ შემდეგ შუქრი კაშია მწვრთნიდა. როგორც ჩანს მონაცემები მქონდა და ზუგდიდის ფეხბურთის კადემიაში (მწვრთნელი ნოდარ აკობია) ჩავირიცხე.*

*სწრაფი ზრდის გამო (ნოდარი ამჟამად 1,94 მეტრია სიმაღლეში), 2 წელი თითქმის არ ვარჯიშობდი. შემდეგ ოზურგეთში, ბავშვთა საფეხბურთო გუნდ ,,მერცხალში‘‘ ვახტანგ ჩხაიძესთან გავაგრძელე წვრთნა.*

*ამხანაგურ მატჩში ,,რუსთავს‘‘ შევხდით. კარგად ვითამაშე. გოლიც გავიტანე. მოვეწონე სტუმართა მწვრთნელს და სამი თვე ,,რუსთავში ‘‘ვითამაშე. 2019 წელს ნუგზარ ზავრადაშვილმა მიმიღო ,,დინამოს‘‘ აკადემიაში.*

*ვთამაშობდი ,,დინამოს‘‘ 19 წლამდელთა გუნდში, ,,დინამო 2-ში‘‘. შემდეგ ,,დინამოში‘‘ 10 შეხვედრა ჩავატარე და 1 გოლი გავიტანე.*

*2022 წელს იჯარის წესით ვთამაშობდი ,,გაგრაში‘‘, ამჟამად წყალტუბოს ,,სამგურალში‘‘- (მწვრთნელი კახაბერ ცხადაძე), სადაც 14 შეხვედრაში ვითამაშე და 4 გოლი გავიტანე...*

*ნახევარმცველი ვარ.. საქართველოს ახალგაზრდულ, U 21 ნაკრების მწვრთნელმა რამაზ სვანაძემ ნაკრებში მიმიწვია და თავი არ შემირცხვენია. პირველად ლატვიასთან შეხვედრაში ვითამაშე (1:0)...*

**– როგორ აფასებ საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების თამაშს ევროპის ჩემპიონატზე.**

– ბიჭებს თავი არ დაუზოგავთ. კარგი შემადგენლობა იყო. ეროვნული ნაკრებიდან ზურიკო დავითაშვილი, გიორგი მამარდაშვილი, გიორგი გოჩალეიშვილი, ლუკა გაგნიძე და ირაკლი ავაზოვი იყო.. რთულ ჯფუფში ვიყავით და ვერ ვიტყვი, ჯგუფიდან გასვლა განაღდებული გვქონდა, მაგრამ გამოგვივიდა.

**– რა გახდა მიზეზი ისრაელთან მარცხისა?**

–პირველ რიგში ის, რომ ისრაელის ნაკრები დაცვაზე ორიენტირებული იყო. რთული კალენდარი, . ნაწილობრივ სათადარიგო სკამის პრობლემაც გვქონდა. მოკლედ პენალტების სერიაში დავმარცხდით. პენელტების სერიაში ბევრ ცნობილ ფეხბურთელს ვერ გაუტანია გოლი. .. ისრაელის ნაკრები ნახევარფინალში ინგლისთან სასტიკად დამარცხდა. ვულოვავთ ინგლისის ნაკრებს ჩემპიონობას.

**–როგორი იყო თქვენი ახლობლების და მეგობრების რეაქცია ნაკრებში თქვენს ნაკრებში გამოსვლაზე?**

*–ოზურგეთის №2 საჯარო სკოლა დავამთავრე. ევროპის ჩემპიონატზე ჯგუფში პირველი ადგილი რომ დავიკავეთ, ერთ-ერთმა პირველმა სკოლის დირექტორმა ფატი სიორიძემ დამირეკა, მომილოცა და მითხრა – ვამაყობთ შენით, ასე გააგრძელე –ეს სიტყვები ჩემთვის დიდი ჯილდო იყო. ძალიან ბევრმა დამირეკა...მინდა ყველას მადლობა გადავუხადო.*



**–ინტერვიუს დასაწყისში გიორგი კილურაძე ახსენეთ..**

–გიორგი კარგად თამაშობდა ფეხბურთს.შემდეგ ხარკოვში ვარჯიშობდა. იქედან კიევში გადავიდა. თუ არ ვცდები ,,არსენალის‘‘ ახალგაზრდულ გუნდში იყო. სამწუხროდ, ჯერ კოვიდი, შემდეგ რუსეთ-უკრაინის ომი. ამჟამად წარმატებით გამოდის აბაშის ,,ზანაში‘‘. ნიჭიერი ფეხბურთელია და მინდა წარმატებები ვუსურვო.

**– მომავლის გეგმები?**

– ჩვენი ნაკრები სექტემბერში ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპში ჩაებმება. ცვლილებები იქნება ნაკრებში. მე თბილისის ,,დინამოს‘‘ ფეხბურთელი ვარ საკლუბო ტურნირებშიც კარგი შედეგები უნდა მქონდეს.დანარჩენს მომავალი გვიჩვენებს.

**– წარმატებები..**

ესაუბრა
**ნუგზარ ასათიანი**

# ჩემი როზა მამიდა....



განსაკუთრებული და არაჩვეულებრივი ადამიანი. მებრძოლი და შეუპოვარი, ჭირში და ლხინში გვერდით მდგომი, ყველას სიხარულისა თუ მწუხარების უჩვეულოდ გამზიარებელი.

ჩემი როზა მამიდა....

ყველაფრის მიმართ საკუთარი და განსხვავებული მიდგომებით რომ გამოირჩევა. მე არ მახსენდება, ალბათ არც თქვენ გაგახსენდებათ ქალი რომელსაც თმა არ ჰქონდეს შეჭრილი არასოდეს. ასეთი უცნაური და იშვიათი მამიდები მხოლოდ მე მყავს ჩემი იზო და როზა მამიდა.

უსაზღვროდ მოსიყვარულე და მოკრძალებული იყო მშობლების მიმართ, თავად კი მკაცრი და მომთხოვნი დედა, განსაკუთრებით მაშინ, როცა საკითხი სწავლა-განათლებას ეხებოდა. ერთი ასეთი შემთხვევა მახსენდება, შვილიშვილების დამკვალიანებელ ბებიას მშობლები უმალავდნენ:— დათას კი გავუშვებთ, მაგრამ როზა არ გააცდენინებს გაკვეთილსო. შვილთაშვილებსაც რომ გადასწვდა როზა ბებიას ხელი, ახლაც მიკვირს, როგორ დაიტოვა ერთი წლის ლუკა, ხუთი წლის ანდრია და ნიკოლოზი და როგორ გაგვიშვა ყველანი სამოზაუროდ. სამაგიეროდ, პატარა ლუკას რომ ჰკითხოთ, ყველაზე მეტად როზა ბებია უყვარს.

თავად მამიდების გაზრდილმა ძმისშვილებზე რაღაც ისეთი უცნაური გრძნობები გადმოიტანა, რომ უსაშველოდ შეგვაყვარა თავი. არ ვიცი, რომელი ერთი გავიხსენო. არ დამავიწყდება მთელი რაიონის სკოლებიდან ფრიადოსნები რომ შეგვკრიბეს პიონერგთა რიებში მისაღებად. ცნობილი და წარჩინებული ადამიანები გვიკეთებდნენ წითელ ყელსახვევებს, მე ჩემმა როზა მამიდამ გამიკეთა და ეხლაც მახსოვს, როგორი ამაყი და ბედნიერი ვიყავი.

ჩემი როზა მამიდა.....

ყველაზე ლამაზად და კოხტად ჩაცმული იყო ყოველთვის, ქორწილი იყო და ყველაზე უცხო და გემრიელი ნამცხვრები როზა მამიდას გაკეთებული იყო, გასვენება იყო და ვინმეს გაცილებას არ დააკლდებოდა არასდროს, ძალიან ახლობლებს კი განსაკუთრებულად ემშვიდობებოდა. არასდროს დამავიწყდება ბაბუაჩემთან და ბებიაჩემთან როზა მამიდას მადლიერებით სავსე, გამომშვიდობება.

ასეთი მოზომილია ყველა ურთიერთობაში, ოჯახის წევრებთან, დედმამიშვილებთან, შვილებთან, სიძეებთან, რძალთან, თანამშრომლებთან, ნათესავებთან, ბავშვებთან, სულ მიკვირს, როგორ პოულობს ასეთ ოქროს შუალედებს. მახსოვს ერთხელ ვთხოვე როგორ ახერხებ, მასწავლე მეთქი, ცოტა დაფიქრდა და მითხრა: — არ ისწავლება მაგი მამიდაო.

დღეს ჩვენ ყველაზე ახლო მეობრები და ერთმანეთის მესაიდუმლეები ვართ. ყოველთვის და ყველაფერზე მაინტერესებს მისი აზრი, სულ ვსწავლობ ხოლმე მისგან და კიდევ ბევრი მაქვს სასწავლი.

ისე, რომ იცოდეთ მე როზა მამიდას მამსავსებენ, ძალიან მიხარია და უსაშველოდ ბედნიერი ვარ, მართლა თუ ვგავარ სულ ცოტათი მაინც. ისე კი მთელი ცხოვრება ვცდილობ, დავემსავსო, უფრო მეტიც, ჩემი მეექვსე შვილიშვილს ქეთა მოქიას, პატარაა მაგრამ, უკვე შესამჩნევად ძლიერი ხასიათი აქვს, მამიკო როზაჩკას ეძახის მოფერებით, მე კი ამ დროს ჩემს როზა მამიდასთან ვპოულობ თაობებში გადასულ მსავსებას და ისეთი ბედნიერი ვარ, რომ სიცოცხლე მემატება.

ულამაზესი ბავშვობა სულ ერთად გავატარეთ დათიკოს შვილიშვილებმა, ერთმანეთზე უკეთესი და ძვირფასი არავინ არ გვყავს დღეს, ჩვენს შვილებსაც და შვილიშვილებსაც ერთად ვზრდით. ამასწინათ როზა მამიდასთან ვიყავი ჩემი შთამომავლობით. ისეთი სიამაყით ვუყურებდი, დედმამიშვილების (როზას და ბახვას) შვილთაშვილები (ანდრია, ლუკა, მაშო, ნუცა, ილია, ქეთა) ერთად რომ თამაშობდნენ, მივხვდი, ეს იყო ყველაზე დიდი მადლობა, იმ სითბოსა და სიყვარულისთვის, რომელიც ჩვენი ბებია-ბაბუებისგან და მშობლებისგან შეუფასებელ მემკვიდრეობად გადმოგვეცა.

ხომ არ ასებობს ქვეყანაზე უნაკლო ადამიანი, მაგრამ მე მაპატიეთ, თუ ჩემს როზა მამიდაში ვერაფერს ვპოულობ ნაკლს. დიდი დიდი მადლობა მას ღირსეულად და სამაგალითოდ გავლილი წლებისთვის.

არ დალიოს ღმერთმა დათიკო გოგუაძის დინასტიაში როზა მამიდასნაირი ქალბატონები.

დიდი სიყვარულითა და მოკრძალებით

**ქეთინო გოგუაძე**



**როზა გოგუაძე** –ქალბატონი შესაშური ენერგიით, ენთუზიაზმით, მოყვასისა და ზოგადად ადამიანებისადმი სიყვარულით აღსავსე.

იგი ყველა ასაკში, ყველა დროში საზოგადოების აქტიური წევრი იყო და ასეთად რჩება დღესაც.

ქალბატონი, რომელსაც ყურადღების არეალიდან არასოდეს ეკარგება ღირსეული.

ადამიანები. მას ენდობიან, სჯერათ და ეიმედებათ ყველგან და ყველაფერში.

ამასობაში 81–ე დაბადების დღეც მოსულა. თუმცა დრომ მის უშრეტ ენერგიას ვერაფერი დააკლო.

როზა გოგუაძე–დედა, დედამთილი, ბებია, დიდი ბებია, უსაყვარლესი მამიდა, დეიდა.

უახლოესი ნათესავები და მეგობრები, სხვისი ინტერესების დამცველი და უბრალოდ მართალი,

კეთილი, სანდო ადამიანი.

**მანანა ქილიფთარი**

## ეპოქა და ოჯახური ისტორიები

# ნოე სარჯველაძე - გურული სიმღერების დიდოსტატი.



ნოე სარჯველაძე და მისი მეუღლე მარიამ წილოსანი

ნოე ივლიანეს ძე სარჯველაძე დაიბადა 1884 წელს, ლანჩხუთის რაიონის სოფ. ჩოჩხათში, მრავალშვილიან ოჯახში.

შვიდი წლის იყო ნოე, როცა მისი მშობლები საცხოვრებლად გადავიდნენ ქ. ფოთში, სადაც ის გაიზარდა, მიიღო სასკოლო განათლება და იქვე დაეუფლა დალაქის პროფესიას.

გურული სიმღერებისადმი სიყვარული ნოეს ოჯახში ჩამოუყალიბდა. მისი მშობლები და და-ძმები(ორი ძმა და სამი და) ყველანი მღეროდნენ.

ნოეს მეუღლე გახლდათ ლანჩხუთელი მარიამ წილოსანი, რომელთანაც დაოჯახების შემდეგ იგი საცხოვრებლად გადავიდა ლანჩხუთში, დასახლდა აგარაკის უბანში, დღევანდელ ნათლისმცემლის ქუჩაზე. ნოეს და მარიამს ეყოლათ ხუთი შვილი: გოგი, ილია, მიხეილი, ფაცია და ნინო, რომლებიც ასევე გამოირჩეოდნენ გურული სიმღერების სიყვარულითა და შესრულებით.

ნოე სარჯველაძე მღეროდა ლანჩხუთის სარაიონო გუნდში, რომლის წევრები იყვნენ: ილიკო მორჩილაძე (გუნდის ხელმძღვანელი), იროდი ასათიანი, ნიკოლა ცინცაძე, გიტო ლომაძე, ისაკი ურუშაძე, ლავრენტი ჩხარტიშვილი, მოსე გორგილაძე და სხვები. აღნიშნულ გუნდს მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდა საქართველოში სახელგანთქმულ ერქომაიშვილისა და ჩავლეიშვილის გუნდებთან, რომლებთანაც სისტემატიურად ატარებდნენ ერთობლივ კონცერტებს.

ნოე საკმაოდ კარგი გარეგნობის კაცი იყო. ის და მისი ოჯახის წევრები გამოირჩეოდნენ ევროპული ჩაცმულობით. იმ დროს შემოსავლიანი პროფესიის წყალობით, მას საკმაოდ გამართული ოდა -სახლი ედგა აგარაკში, სადაც ამჟამად მისი შთამომავლები აგრძელებენ ცხოვრებას.

მიუხედავად იმისა, რომ ნოე სრულიად აპოლიტიკური პიროვნება იყო, მასაც შეეხო რეპრესიების სუსხი ავადმოსაგონარ 37-ში. პროფესიული საქმიანობიდან გამომდინარე, მას ურთიერთობა ჰქონდა სხვადასხვა კატეგორიის ადამიანებთან. იგი, ერთხელ, თავის სადალაქოში შესულ ერთ-ერთ „კლიენტს გახუმრებია: — ლენინს მიგიგავს თავიო. მსგავსი გამონათქვამები, იმ ბედკრულ დროში, ხშირად ყოფილა საფუძველი ადამიანების დასჯისა და შესაძლოა ეს ყოფილიყო მიზეზი მისი დაპატიმრებისა. მისთვის მოუთხოვიათ დაესახელებინა თუ ვინ იყვნენ მის გუნდში „ტროცკისტები ,რაც მან არ გააკეთა, რადგან მის ირგვლივ ასეთი ადამიანების შესახებ მან არაფერი იცოდა. იგი „ტროცკისტობის იარლიყით 10 წლით იქნა გადასახლებული პოლარული წრის იქით, კომის ასსრ-ში, ქ. ვორკუტაში, სადაც დალაქად მუშაობდა. მან გადასახლებაში ყოფნის დროს ქართველ პატიმრებში ხალხურ სიმღერათა გუნდი ჩამოაყალიბა.

ნოეს, გადასახლებაში ყოფნის დროს, გარდაეცვალა უფროსი ვაჟი გიორგი, რომელიც ცხოვრობდა ქ. ფოთში, პროფესიით იყო აგრონომი, მუშაობდა საპასუხისმგებლო თანამდებობაზე. იგი ტრაგიკულად დაიღუპა ტაბელური იარაღიდან შემთხვევით გასროლილი ტყვიით. ნოეს შუათანა ვაჟი ილიკო, ბათუმის საზღვაო სასწავლებლის დამთავრების შემდეგ,სწავლობდა ლენინგრადის საინჟინრო აკადემიაში ,საიდანაც გარიცხული იქნა ,,син троцкиста"- ს ბრალდებით. ნოეს ხუთივე შვილიდან, მხოლოდ უმცროსმა ვაჟმა, მიხეილმა ვერ მოასწრო უმაღლესი განათლების მიღება. მას, 1939 წ, 18 წლის ასაკში სავალდებულო სასწავლებელში გაწვევის შემდეგ, სამამულო ომმა მოუსწრო და 1942-ში ქერჩში დაიღუპა. .

1947 წელს დაბრუნდა ნოე გადასახლებიდან, ისევ გააგრძელა მუშაობა დალაქად, თუმცა სარაიონო გუნდში სიმღერა აღარ გაუგრძელებია.. გადასახლებიდან ახლად დაბრუნებული ნოე დაიბარა მაშინდელმა რაიკომის მდივანმა ხიტირმა და სთხოვა, რაიონის ხალხური სიმღერის გუნდს ჩასდგომოდა სათავეში, რაზეც ნოემ უარი განაცხადა და მდივანს უთხრა: „ *მე ბიძია მაგას არ გაკადრებ, მარა 10 წელი გაჩერდი იქ, სადაც მე ვიყავი და როცა ჩამოხვალ ნახავ რა სიმღერის ხასიათზე დადგებიო*“ — რაზედაც რაიკომის მდივანმა ბოდიში მოუხადა მას.

მართალია ნოე გუნდში აღარ მღეროდა, მაგრამ სიმღერა მისი თანამგზავრი იყო სიცოცხლის ბოლომდე. მღეროდა ოჯახში თავის ოჯახის წევრებთან ერთად, სტუმრებთან სადღესასწაულო სუფრებზე და ა.შ.

სიმღერისადმი სიყვარული გაგრძელდა მის მემკვიდრეებშიც. მისი სახელის მოზიარე ნოე სარჯველაძე (ჯუნგლი) არაჩვეულებრივად მღეროდა როგორც ხალხურ სიმღერებს, ასევე სხვადასხვა ქართულ მელოდიებს გიტარაზე.



ნინო სარჯველაძე და მისი მეუღლე თეატრის მხატვარი ვანო ასკურავა



გიორგი ჟორდანია

უნდა აღინიშნოს, რომ ნოე სარჯველაძის შთამომავლებს ქალიშვილ ნინოს მხრიდან, რომლის მეუღლეც გახლდათ ცნობილი თეატრის მხატვარი ვანო ასკურავა, კლასიკური მუსიკალური განათლება აქვს მიღებული: ნანა, მეგი ასკურავებს, შვილთაშვილს გიორგი ჟორდანიას(ნანას ვაჟი) და მის ქალიშვილს სალომე ჟორდანიას.

გიორგი ჟორდანია, აშშ-ში მოღვაწე ცნობილი დირიჟორის, ვახტანგ ჟორდანიას ვაჟია. იგი წლების განმავლობაში იყო ოპერის თეატრის მთავარი დირიჟორი და სამხატვრო ხელმძღვანელი. ამჟამად გიორგი აშშ-ში მოღვაწეობს, უძღვება მამის, ვახტანგ ჟორდანიას სახელობის ორკესტრს და ატარებს მისი სახელობის ფესტივალებს.

გიორგის ქალიშვილი სალომე ,ასევე წარმატებული პიანისტია. მან დაამთავრა ბერკლის უნივერსიტეტი ფორტეპიანოს განხრით და არის რამდენიმე საფორტეპიანო კონკურსის ლაურეატი.

ნოე სარჯველაძე 1973 წელს, 99 წლის ასაკში გარდაიცვალა.

**ლალი რამიშვილი,**

ლანჩხუთის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის მეცნიერ-თანამშრომელი

*(სტატია მომზადდა ნოე სარჯველაძის რძლის, მუსიკის პედაგოგის ლენი ასათიანის მოგონების საფუძველზე).*

# ამბავი გურიაში დაბადებული დედით გურული დიდი კაცისა

გაგრძელება, დასაწყისი „ალიონი“ №13-15



ეზოს მოდებულ ბალახთან უშეღავათო ბრძოლაში გამარჯვების ამბით მინდოდა დამეწყო დღევანდელი წერილი გაზეთ „ალიონის“ მკითხველო...

არ გამოვიდა...

ლამის ათდღიანი ბრძოლა თვენი მონა-მორჩილის სასტიკი დამარცხებით დასრულდა, ბალახს ისევ და ისევ მიაქვს მთელი ეზო, წინა ეზოს არცთუ მცირე ნაწილს თუ არ ჩავთვლით.

მიზეზი მარტივია: დილა-საღამოს წვიმდა... 11 საათიდან 17 საათამდე მზის დაკვრის შიშით მუშაობას ვერიდები. ასე იყო მამაჩემიც და ასე ვარ მეც... და მაინც, ლამაზია ჩემი ეზო, გინდა ბალახიანად და გინდაც უბალახოდ.

ლამაზია და არა მგონია ზოგადი მსგავსების გარდა, რითიმე ჰგავდეს „კაცია ადამიანისა?!“ და ეგნატე ნინოშვილის მოთხრობა „ცოლი და ქმარში“ აღწერილ ეზო-კარს.

აქვე ვთქვათ, ილიას, „კაცია ადამიანის?!“ მცირე შესავალს თუ არ ჩავთვლით ილიასა და ეგნატე ნინოშვილის მოთხრობები თითქმის ერთნაირად, სახლ-კარის აღწერით იწყება და პირველი გამორჩეული ფინაალით, აი, მეორე დაუმთვრებლად სრულდება...

ილიისა და ეგნატე ნინოშვილის ნაწარმოებთა მსგავსს დასაწყისებში ბევრი განსხვავებაა და მაინც აღმოსავლეთსა და დასავლეთში რაღაცნაირად ერთმანეთს დამსგავსებოდა, თავადის, აზნაურის და გლეხის სახლები...

კი არ ვიცი, რატომ გამახსენა ერთი უცნობილესი და მეორე, ფაქტობრივად უცნობი ნაწარმოებების დასაწყისები მანდამაინც დღეს...

დღეს გურიაში წვიმს...

ვკითხულობ ილიას, ჩეხოვს, ნინოშვილს, რობაქიძეს,.... გიორგი შატბერაშვილს.... და ვარ ასე...

.მართლა არის დრო ქვებთან სხვადასხვა დამოკიდებულებისა...

მაგრამ მჭირდებოდა... ეს ერთდღიანი მსგავსი დასვენება...

სხვათაშორის ამ კვირაში დაბადების დღეც მქონდა. იუბილეო ვერ ვიტყვი, არც ხუთით მთავრდება და არც ნულით და საერთოდაც, მიუხედავად იმისა, რომ ძველ ებრაული სიტყვა „ამა თუ იმ პიროვნების ცხოვრებისა და მოღვაწეობის, დაწესებულების, ორგანიზაციის არსებობის, რაიმე მნიშვნელოვანი ამბის ან მოვლენის წლისთავია“ და რომელსაც, როგორც წესი, საზეიმოდ აღნიშნავენ, მე, მხოლოდ და მხოლოდ, გამოჩენილ ადამიანების და ა.შ. დაბადების დღეების აღსაღნიშნავად გამოვიყენებდი.

თქმა არ უნდა, უპირველესად ასეთი კააცი ილია ჭავჭავაძეა!

ასეა! თუმცა...

აუ, რამდენი რამის ჩატევა მინდა ახლა ბოლოს სიტყვას „თუმცა“ მიყოლებულ რაოდენობით სამ და შინაარსით მრავალ წერტილებში.

. მიუხედავად რამდენიმე მცდელობისა ილიას სიცოცხლეში იუბილე არ გამართულა...

ამაზე უკვე ვწერდი და მაინც, ილიას საიუბილეო კომიტეტის შექმნაზე საუბრით დავუბრუნდები ძირითად სათქმელს.

„მატიანეს კალენდრით“ 1897 17 ოქტომბერია.

*„თავადაზნაურთა დარბაზში ტარდება კრება, რომელზეც ირჩევენ ილია ჭავჭავაძის საიუბილეო კომიტეტს ქრისტეფორე მამაცაშვილის თავმჯდომარეობით. წევრები არიან: მარიამ ჯამბაკურ-ორბელიანი, ეკატერინე გაბაშვილი, ანასტასია თუმანიშვილი, პეტრე გრუზინსკი, იაკობ გოგებაშვილი, ნიკო ცხვედაძე, კიტა აბაშიძე, კოტე მესხი, ანდრია ღულაძე, ივანე ზურაბიშვილი და გრიგოლ აბაშიძე“.*

ამ დიდებულ ამბავს, რომელსაც, განხორციელება არ უწერია „ახალი ამბავის“ რუბრიკასი გაზეთი **„ცნობის ფურცელი“** ასე გამოეხმაურა:

*„თავ. ი. ჭავჭავაძის საიუბილეთა კომიტეტი, გუშინ, პარასკევს, სათა-ვადაზნაურო დარბაზში კრება იყო დანიშნული თავ. ი. ჭავჭავაძის იუბილეზე მოსალაპარაკებლად. კარგა ლაპარაკის შემდეგ კრებამ დაასახელა საიუბილეო კომიტეტში შემდეგი პირები: კნეინა მარიამ ვახტანგის ასული ჯამბაკურ-ორბელიანისა, ეკატ. რ. გაბაშვილისა, ანასტასია მიხეილის ასული თუმანოვი-წერეთლისა, უგანათლებულესი თავად, პეტრე ალექსანდრეს ძე გრუზინსკი, ქრისტ. იოსების ძე მამაცაშვილი. იაკობ სვიმონის ძე გოგებაშვილი, ნიკოლოზ ზებედის ძე ცვედაძე, **კიტა აბაშიძე,** კოტე მესხი ანდრია ღულაძე, ი. ზურაბიშვილი და გრ. აბაშიძე“.*

დიდებული შემადგენლობაა და, მათ სორის, ჩვენებური კიტა აბაშიძე რომ არის, სიმართლე, გითხრად 125-ზე მეტი წლის შემდეგადაც ბედნიერების შეგრძნება მეუფლება და ცოტა არ იყოს კიდეც ვამაყობ.

დარწმუნებული ვარ ჩემზე ასჯერ მეტად ბედნიერ-ამაყები გახლდათ საიუბილეო კომიტეტის ზემოჩამოთვლილი წევრები, ზოგადად და განსაკუთრებით იმ დროს, როცა **„ცნობის ფურცელში“** გამოსაქვეყნებლად ქვემოთ რომ მოვიყვან იმ ინფორმაციას წერდნენ.

*„თ ვ. ი. გ. ჭავჭავაძის იუბილეის გამო. კომიტეტი, რომელსაც დავალებული ჰქონდა პროგრამა გამოეკვლია საიუბილეო დღესასწაულისა ბეჯითად მუშაობს ამ საგანზე და კვირას 2 ნოემბერს შეჰყრის საზოგადოებას, რომელსაც მოიხსენებს შემუშავებულ პროგრამას და იმავე დღეს გადაწყდება სადღესასწაულო დღეც.“*

„მატიანეს კალენდრით“ 1897 31 ოქტომბერი„ *„ ილია ჭავჭავაძის მოღვაწეობის 40 წლისთავის საიუბილეო კომიტეტის წევრი გრიგოლ აბაშიძე გაზეთ „ცნობის ფურცელში“ წერს კომიტეტის განზრახვაზე, რომ ეს არ იყოს მხოლოდ ერთდღიანი დღესასწაული, იგი უნდა შეიგრძნონ და სამახსოვროდ დარჩეთ საქართველოს ყველა კუთხეში“.*

მართლა მეტად საინტერესო წერილია, ეროვნულ ბიბლიოთეკაში არსებული ეგზემპლარი დაზიანებულია, და სრული სიმშვენიერით არ იკითხება (რომელიმე ბიბლიოთეკას ან მუზეუმს თუ აქვს და „დამისკანერებს“ და გამომიგზავნის, მადლობას მოვახსენებ, გულითადს და უდიდესს... წინასწარ და მოწოდების შემდეგ ასჯერადად!).

ამჯერრზე, ერთი ნაწყვეტით დავკმაყოფილდები...

მართლა გულით დაწერილი წერილია...

არ ეგების აქ არ მოტანა და რა ვქნა?!

*„თავ. ილ. ჭავჭავაძის იუბილეის გამო. როგორც საზოგადოებამ იცის — ჩვენს სასიქადულო მგოსანს და დაუღალავ საზოგადო მოღვაწეს – თ. ილ. გრ. ჭავჭავაძეს — წრეულს შეუსრულდა ორმოცი წელიწადი მას აქეთ, რაც მისმა ცით ნაკურთხმა ქნარმა პირველად გაიხმატკბილა თავის საყვარელის ერის სადიდებლად... არ გაივლის, თითქმის არც ნახევარი წელიწადი, რომ ამგვარივე სანატრელი და სასიქადულო ხანა სულიერის მოღვაწეობისა ნათელ-გვირგვინით შუბლს შეუმოს... მეორე ჩვენს სიქადულს, ჩვენს... დღესასწაულს ღირსეულად იდღესასწაულებს ჩვენი ერი და ერთხელ კიდევ მეტად დაამტკიცებს თავის უანგარო სიყვარულს თავის საუკეთესო მოღვაწეთა მიმართ, ან რა გასაკვირველია, რომ ყოველი ქართველი, განურჩევლად სქესთა და ასაკთა, ამ დღეს სიხარულით მიეგებოს“.*

სწორედ, ამ განწყობით ეგებებოდა საქართველოს უდიდესი ნაწილი ილიას იუბილეს... რომელიც... თუმცა ეს უკვე ვთქვით და განმეორება რაღა საჭიროა?!

ერთს დავსძენთ მხოლოდ:

1898 3 მარტს *„ილია ჭავჭავაძის საიუბილეო კომიტეტი: ქრისტეფორე მამაცაშვილი, ივანე ზურაბიშვილი, ეკატერინე გაბაშვილი, კოტე მესხი, პეტრე ყიფიანი, **კიტა აბაშიძე** და ვალერიან გუნია თხოვნით მიმართავენ ქშწკგ საზოგადოების გამგეობას, რომ იუბილეს გამართვამდე სალიტერატურო ფონდიდან ასესხონ 3000 მანეთი.“*

ამასობაში, „მატიანეს“ კალენდრით 1898 აგვისტო – სექტემბერია და *„ჟურნალ „მოამბეში“ იბეჭდება **კიტა აბაშიძის** წერილი „ეტიუდები ქართული ლიტერატურიდან. წერილი მეოთხე. თავადი ილია ჭავჭავაძე“.*

აბა, ისე როგორ იქნება ამ წერილიდან რამდენიმე ამონარიდი არ ვაახლო პატივცემულ გურულებს; ორ ნომერში განთვსებული მეტად საინტერესო წერილია, მენდეთ.

*„თ. ჭავჭავაძე პოეტი და დიდბუნებოვანი არსებაც რომ არ ყოფილიყო, ისეთს დროში იყო დაბადებული, რომ არ შეეძლო ერის ტანჯვავაებისათვის ზურგი შეექცია. ამ კაცმა კარგად იცოდა ის სენი, რომელიც სიცოცხლეს უსპობდა ერს და განა შეიძლებოდა მის გულის სიმებს ამის გამო სამგლოვიარო ხმა არ გამოეცა? განა შეიძლებოდა პოეტის გული არ აღეშფოთებინა და სიცოცხლე არ მოეშხამა მას, რომ მისი სატრფო „სხვას ასმევდა ნექტარს ნეტარებისას; სხვას თავს ევლებოდა, შეჰხაროდა, სხვას ეტრფოდა?“ ესე იგი, შეჰხაროდა და შესტრფოდა იმ იდეალებს, იმ აზრებს, რომელიც პოეტისაგან დაგმობილი იყო და რომელიც სამარცხვინო მონობის გამომსახველია.*

*წარმოსადგენია განა, რომ ეხლანდელის ცხოვრების გახრწნილების შემგნებელს „აჩრდილი“ არ დაეწერა, სადაც რამდენიმე თავში საოცარის სიმკაცრით არის გამოხატული ჩვენი გათახსირება? რა წარმოსადგენია, აბა, დღევანდელი გარყვნილის, ზნეობად აცემუ-ლის და სალახანა „დათიკოებისათვის“ არ დაეპირდაპირებინა „დიმიტრი თავდადე-ბული“ და მისი გმირული, რაინდული მოქმედება სამაგალითოდ არ დაესახა, „დედა და შვილის“ დედა დარეჯანების გვერდით არ დაენახვებინა? ყოველივე ეს კი სხვაგვარის გრძნობების ამშლელი იყო, არაჩვეულებრივი ჩვენის ლიტერატური-სთვის: მკითხველს აწმყოს აძულებდა, წარსულში სასოებისა და იმედის საფუძველს უპოვიდა და მომავალში იდეალებს უსახავდა. ამ ლექსებს საეროვნო გრძნობების განმტკიცების მხრივ ჩვენს ლიტერატურაში უპირველესი ადგილი უკავიათ. თუ შეადარებთ, მაგალითად, თ. ი. ჭავჭავაძის სამშობლოს სიყვარულის გამომხატველ ლექსებს, ასეთსავე ლექსებს თ. გრ. ორბელიანისას, თ. ალ. ჭავჭავაძისას და თვით უკვდავ ბარათაშვილის ლექსებსაც, ნახავთ, რომ თესლი ყვავილად ქცეულა და ამ გრძნობათა გამოხატვაში ჩვენს პოეზიას.*

*თ. ი. ჭავჭავაძის მეთაურობით დიდი ნაბიჯი წაუდგამს წინ და უფრო ნათელს, უფრო გარკვეულს გზას დასდგომია.“*

*„პოეტიც სწორედ იქ არის ძლიერი, საცა თავის ერთადერთს სატრფოს, ერთადერთს საგანს ცხოვრებისას ეალერსება და ანუგეშებს, საცა „ქართლის დედას“ თაყვანსა სცემს და აღტაცებით იხსენიებს, საცა თავისი ქვეყნის ბიწიერება გულსა და სულს უდუღებს („აჩრდილი“). ძლიერია იქ, საცა მწარე ღიმილით დასტირის საყვარელის არსების გათახსირებასა და დაცემას: ძლიერია აქ მისი სარკაზმი, მისი კბილთა ღრჭენა ჯოჯოხეთურია და ძლიერ გრძნობათა აღმძვრელი. რომელ ქართველის ტვინში არ ჩაჭედილა და არ ჩაბეჭდილა თ. ილ. ჭავჭავაძის „რას ვშვრებოდით, რა ვიყავით“, ეს მოკლე სატირული ისტორია ჩვენის ცხოვრების უკანასკნელის ხანისა... „ერთმანეთს გულმოდგინეთ ვწეწდით და ვიწეწებოდით“, როცა „ფერმიხდილნი ბეზღობაში ერთმანეთს ვეჯიბრებოდით, როცა „ერთმანეთის მტრობით ჩვენს სახლს ცეცხლი წავუკიდეთ“, და „ჭკვიანურად იმ ცეცხლის წინ ვისხდით და ხელს ვითბობდით“, როცა „თვით შევსხდით მაღლა თაროს, დაბლა ყმებსა ტვინსა ვსწოვდით“ („რა ვაკეთეთ, რას ვშვრებოდით“). ეს რამოდენიმე სტრიქონი ყოველ ჩვენს ისტორიულ მონოგრაფიაზედ უმაღლესია და უძლიერესი. ამ ხანას ჩვენის ცხოვრებისას ილ. ჭავჭავაძემ ისეთი განსჯა მიაყენა, ისეთის შავის ფერადებით დახატა და ისე მძლავრად შეგვაზიზღა ჩვენი მოქმედება ამ პატარა ლექსით, რომ სხვანაირის აზრის გამომთქმელს წინდაწინვე შეუძლია დარწმუნებული იყოს, სხვაგვარ შეხედულებას ამ ხანის შესახებ ჩვენ შორის გასავალი აღარ ექნება. ანდა მისი დახასიათება ჩვენის ერის ბედნიერებისა მით, რომ ვართ „მძიმე ყალნით, ლამაზ ფალნით მორთული და მშვენიერი, უწყინარი, უჩივარი, ქედდრეკილი, მადლიერი; ყოვლად მთმენი, ვით ჯორცხენი, ნახედნი და ღონიერი, მცირე, დიდი, ყველა ფლიდი, ცუღლუტი და მანკიერი, უზლუდონი, გზამრუდონი, არგამტანი და ცბიერ ი, მტრის არ მცნობი, მოყვრის მგმობი, სხვასთან მხდალი, შინ ძლიერი, არრის მქონე, არრის მცოდნე, უზრუნველი და მშიერი“ („ბედნიერი ერი“). ეს ორი ლექსი მისი პატარა ლექსების შედევრად უნდა ჩაითვალოს, ისე, როგორც მისი „კაციაადამიანი“ მის პროზაულ ნაწარმოებთა შორის და, საზოგადოდ, ჩვენს ლიტერატურაში. ილ. ჭავჭავაძის სატირას განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ჩვენს ლიტერატურაში, რადგან საზოგადო ხასიათისაა, მთლად მთელის ერის ძირითად ნაკლულევანებათ ეხება და არა აქვს სახეში კერძო მოვლენა, ანუ კერძო ჯგუფი საზოგადოებისა. ასეთი ღრმა სიძულვილი ქართველი ერის ნაკლულევანებისა, ასეთი ზიზღი ჩვენის ერის დამამცირებელის მოქმედებისა არც ერთს ჩვენს მწერალს არ გადმოუნთხევია, მაგრამ ყველამ იცის, რასაკვირველია, „ამ სიძულვილში რაოდენიც სიყვარულია“.* თქმა არ უნდა, უდიდესი სიყვარულია, და ამ უდიდესი სიყვარულით იცხოვრა ილიამ „წიწამურის ტრაგედიამდე“ და მთელი ილიასეულ ცხოვრება არის მაგალითი იმისა თუ რა განსხვავებაა სიცოცხლესა და ცხოვრებას შორის, იმის ყველაზე მკაფიო მაგალითია, თუ როგორ უნდა შეავსო სიცოცლე მოღვაწეობითი ცხოვრებით და კიტა აბაძიძეა ამის არა მხოლოდ საუკეთესო დამნახავი, არამედ საუკეთესო აღმწერიც!

ამასობაში „მატიანეს“ კალენდრით *1899 წლია დეკემბერია, „ჟურნალ **„მოამბეში“** იბეჭდება **კიტა აბაშიძის** წერილი „თ-დი აკაკი წერეთელი და მისი თავის მართლება“, რომელიც ეხება ქუთაისის ბანკთან დაკავშირებით ილია ჭავჭავაძესა და აკაკი წერეთელს შორის გამართულ პოლემიკას“.*

ქუთაისის ბანკთან დაკავშირებით ილია ჭავჭავაძესა და აკაკი წერეთელს შორის გამართულ პოლემიკასთან დაკავშირებული წერილი ხუთ საჟურნალე გვერდზე ოდნავ მეტია, დარწმუნებული ვარ ეს ის რაოდენობა არ არის გაზეთ „ალიონის“ მეხუთე, ჩემთვის ასე განსაკუთრებით საყვარელ-საამაყო გვერდმა თუნდაც ნაწილ-ნაწილ ვერ „დაიტიოს“,






ახალი ამბავი

— 

*** თავ. ი. ჭავჭავაძის საიუბილეო კომიტეტი. გუშინ, პარასკევს, სათავად-აზნაურო დარბაზში კრება იყო დანიშნული თავ. ი. ჭავჭავაძის იუბილეიზე მოსალაპარაკებლად. კარგა ლაპარაკის შემდეგ კრებამ დაასახელა საიუბილეო კომიტეტში შემდეგი პირები: კნეინა მარიამ ვახტანგის ასული ჯამბაკურ-ორბელიანისა, ეკატ. რ. გაბაშვილისა, ანასტასია მიხეილის ასული თუმანოვი-წერეთლისა, უგანათლებულესი თავად, პეტრე ალექსანდრეს ძე გრუზინსკი, ქრისტ. იოსების ძე მამაცაშვილი. იაკობ სვიმონის ძე გოგებაშვილი, ნიკოლოზ ზებედის ძე ცვედაძე, კიტა აბაშიძე, კოტე მესხი



ახალი ამბავი

—

*** თ. გ. ი. გ. ჭავჭავაძის იუბილეის გამო. კომიტეტი, რომელსაც დავალებული ჰქონდა პროგრამა გამოეკვლია საიუბილეო დღესასწაულისა ბეჯითად მუშაობს ამ საგანზე და კვირას 2 ნოემბერს შეჰყრის საზოგადოებას, რომელსაც მოიხსენებს შემუშავებულ პროგრამას და იმავე დღეს გადაწყდება სადღესასწაულო დღეც.

თუმცა ამას რა თქმა უნდა, არ ვიზამ ( ილია-აკაკის ურთიერთობა მეტად ფაქიზი თემა და მასზე ჩემზე გაცილებით კომპეტენტურმა ადამიანებმა უნდა იმსჯელოს, მით უფრო, რომ ქუთაისის ბანკთან დაკავშირებით ილია ჭავჭავაძესა და აკაკი წერეთელს შორის გამართულ პოლემიკაერთადერთი პოლემიკა, როდია ამ ორი დიდი ადამიანის ურთიერთობაში და ვისაც ახლა მხოლოდ „ვეფხისტყაოსანთან“ დაკავშირებული გაახსენდა ძალიანაც ცდება!), სერგეი მესხის მეუღლისადმი მიწერილი წერილიდან ერთ ნაწილს მოვიტან და ამითმოვრჩები: *„ჩვენ, ე.ი. მე, ნიკოლაძეს და აკაკის ერთი მხრივ და ილიას ჭავჭავაძეს და საზოგადოთ ღოღობერიძეებს მეორე მხრივ, ცოტაოდენი კინკლაობა მოგვივიდა. ქუთაისში დაიწყო საქმე, ჩვენ ერთი მხრივ ვიყავით, ცალკე პარტიას შევადგენდით და ღოღობერიძეები მეორე მხრივ.“*

მეორე წერილი „ბესარიონ ღოღობერიძისადმი ილიას მიმხრობამ გამოიწვია. ამიტომ ჩვენ შორის ხომალდები დავწვით და ყველაფერი გათავდა“ (იხზმული.. http://qaranliqtarix.blogspot.com/p/1866.html).

„მატიანეს“ კალენდრით 1900 თებერვლის დასაწყისია „ჟურნალ „მოამბეში“ იბეჭდება **კიტა აბაშიძის** მიმოხილვა „1899 წლის ქართული სიტყვაკაზმული მწერლობა“, რომელშიც სხვა საკითხებთან ერთად საუბარია ილია ჭავჭავაძესა და ახალ თაობაზე“. – საინტერესო წერილია, აი, ისეთი, დაწერიდან ლამის ორი ასწლეულის შემდეგაც რომ თავს წაგაკითხებს, მერე რა რომ, რამდენიმე მოსაზრება საეჭვოდაც თუ მოგეჩვენება...

(გაგრძელება იქნება)

**გიო კილაძე**

# „ზღაპრის კვირეულში“ ბაილეთის სკოლამ გაიმარჯვა





ოზურგეთის მუნიციპალიტეტის კულტურის და მოსწავლე-ახალგაზრდობის ცენტრში „ზღაპრის კვირეულის“ ფინალი გაიმართა.

კვირეულის პირველ ეტაპზე მონაწილე სკოლების შეფასება სკოლებში, ადგილზე მოხდა. ხოლო ფინალში ჟიურის მიერ საუკეთესოდ შეფასებული 5 ზღაპარი მონაწილეობდა, ესენია:

გრან-პრის მფლობელი გახდა **ბაილეთის საჯარო სკოლა** ზღაპრით „რწყილი და ჭიანჭველა“;

საპრიზო ადგილები ასე გადანაწილდა:

I ადგილი – **ცხემლისხიდის საჯარო** სკოლა „ბაჭია მარწყვიჭამია“;

II ადგილი – **I საჯარო სკოლა** „ხერხი სჯობია ღონესა“ „ნაცარქექიას“ მოტივებზე;

III ადგილი – **წმინდა ნინოს სამრევლო სკოლა** „ჩიტი და მელა“;

IV ადგილი – **ნასაკირალის საჯარო სკოლა** „ტყის ზღაპარი“.

ზღაპრის კვირეულში მონაწილე ყველა სკოლა სიგელებით, სხვადასხვა ნომინაციებით და საჩუქრებით დაჯილდოვდნენ.



## პაატა მახარაძის (ბართლომეოს) ლიტერატურულ კონკურსში მონაწილეთა, სპონსორთა და გულშემატკივართა საყურადღებოდ:

კონკურსის დასკვნითი ღონისძიება - გამარჯვებულთა, პრიზიორთა, ნომინანტთა დაჯილდოება, ლიტერატურული კონკურსის მუსიკალური ლოგოს პრეზენტაცია და საზეიმო კონცერტი შედგება ოზურგეთის ალ. წუწუნავას სახელობის სახელმწიფო პროფესიულ დრამატულ თეატრში, **22 ივლისს,** 18 საათზე.

გვეყოლება სტუმრები - ლიტერატურაში, თეატრში, კინოში, მუსიკაში, მხატვრობასა და ფოლკლორში მოღვაწე გამოჩენილი ქართველი ხელოვანები თბილისიდან და რეგიონებიდან.

კონკურსის ყველა მონაწილე ოზურგეთის თეატრში უნდა გამოცხადდეს დასკვნითი ღონისძიების დაწყებამდე ერთი საათით ადრე.

მობრძანდით და უგულშემატკივრეთ თქვენს ფავორიტებს!

დასკვნითი ღონისძიებაზე დასწრება უფასოა.

**საორგანიზაციო ჯგუფი.**

# სკანვორდი



სოფელი ჩოხატაურში

მტაცი ამ-ში

სოფელი ჩოხატაურში

უთავბოლო ცხოვრება საფრანგეთ

გურული ვაზის ჯიში

ბეთჰოვენის მეცნრე

თავადური წოდება

ქალაქი ანდალუზია ში

მერავი

ქიმიური ჭურჭელი

ძაღლის ჯიში

ცუნამი

საფუძკრე

იტალიელი ფილოსოფოსი

ავტომობილის ბრენდი

იტალიელი ფილოსოფოსი

თვალწარმტაცი

მტაცებელი ფრინველი

შექება თაყვანისცემა

ნობათის დაფა

ქალაქი შოტლანდიაში

სამჯერვალო

ომის ღმერთი

შავთეთრი ცხოველი

მათემატიკის დარგი

## პასუხები:

[illegible]

## ეპოქა და ოჯახური ისტორიები

# ექვთიმე თაყაიშვილის ქუჩა



ექვთიმე თაყაიშვილის ქუჩას სხვადასხვა დროს ერქვა ლეხაურის, აბაშიძის, სერგო ქობულაძის, გიორგი ხაჭაპურიძის სახელები.

ყოფილი აბაშიძის ქუჩას 38 დან, ბჟუჟის ხიდამდე სერგო ქობულაძის სახელი ერქვა, ბჟუჟის ხიდიდან ანასეულის ასახვევამდე– გიორგი ხაჭაპურიძის.

. **აბაშიძის ქუჩა.**

ოზურგეთში მდინარე ბჟუჟის მარჯვენა ნაპირზე მდებარე სახლში გლახუნი და ბარბარე აბაშიძეები ცხოვრობდნენ. მათ ჰყავდათ ოთხი შვილი; პატე, თამარი, ვასო და ქეთო.

უფროსი ძმა პატე 1903 წლიდან ჩაება რევოლუციურ საქმიანობაში.1905 წლის რევოლუციის დროს უკვე ჩამოყალიბებული მარქსისტი იყო და გურიის რევოლუციის კომიტეტის წევრი. აქტიურ მონაწილეობას იღებდა 1905 წლის ნასაკირალის ბრძოლაში. რეაქციის წლებში პატე აბაშიძე დააპატიმრეს და ჩავეს ჯერ ოზურგეთის ციხეში შემდეგ გადაიყვანეს ქუთაისის საგუბერნიო ციხეში,ციხეში დაემართა უკურნებელი სენი – ჭლექი და 1907 წლის 13 მაისს გარდაიცვალა.

მიუხედავად რეაქციის წლებისა მისი დაკრძალვა აღინიშნა წითელი დროშების ფრიალითა და მარსელიეზას სიმღერით, დარძალეს ექადიის სასაფლაოზე.

პატეს სიკვდილის შემდეგ მალვე გარდაიცვალა მისი და თამარი.

ვასომ სწავლა ხარკივოვში გააგრძელა და დაამთავრა ხარკოვის საპროვიზორო სასწავლებელი.. ოზურგეთში ვერ იშოვა ადგილი და იძულებული გახდა ემუშავა ჯერ გუდაუთაში და შემდეგ სოხუმში. აქ იგი არალეგარულად განაგრძობდა მუშაობას, საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ხელმძღვანელობდა ჯანმრთელობის დაცვის განყოფილებას..იგი უმცროს დასთან ეეთოსთან ერთად ითვლებოდა რევოლუციური კომიტეტის ბიუროს წევრად და რევკომის თავმჯდომარის მოადგილედ. მაგრამ ვასოც მძიმედ გახდა ავად ტვინის ანთებით 1921 წლის შემოდგომაზე გარდაიცვალა. ქუჩას, სადაც ისინი ცხოვრიბდნენ აბაშიძის ქუჩა უწოდეს.

და-ძმებს შორის ყველაზე დღეგრძელი ქეთო აღმოჩნდა. იგი სიცოცხლის ბოლომდე ემსახურებოდა პარტიას და ჩაბმული იყო საზოგადოებრივ საქმიანობაში.

სერგო ქობულაძის ქუჩა იწყებოდა ყოფილი აბაშიძის 38 ნომრიდან მდინარე ბჟუჟის ხიდამდე.

**სერგო ქობულაძე** ქართველი გრაფიკოსი, თეატრის მხატვარი, ფერმწერი დაიბადა 1909 წელს ახალციხეში, მამამისი სოლომონი მაკვანეთიდან იყო, მსახურობდა ახალციხის სამხედრო ნაწილში. დედა ნინო ხუნდაძე საჯავახოდან იყო.

ხატვისადმი მიდრეკილება მან ბავშვობის წლებში გამოამჟღავნა. ოჯახის თბილისში გადმოსვლის შემდეგ სერგო ქობულაძეს საშუალება მიეცა სკოლაში სწავლასთან ერთად ბ. შებუევისა და ნ. სკლიფასოვსკის ხატვის გაკვეთილებს დასწრებოდა.

1925-1930 წლებში სწავლობდა თბილისის სამხატვრო აკადემიაში ე, ლანსერესთან, ი. შარლემანთანთან და გ, გაბაშვილთან. მხატვარი იგონებდა:–,,პირველ მეორე კურსზე აკადემიაში მხოლოდ ხატვას გვასწავლიდნენ, პირველ კურსზე ხატვას გვასწავლიდა ი.შარლემანი, მომდევნო კურსზე კი ე, ლანსერე. ყველაზე მეტი ვისწავლე და შევიძინე გიგო გაბაშვილისგან, რომელიც ფერწერას გვასწავლიდა, მისგან გავიგე პირველად, თუ რას ნიშნავს ცივი და თბილი ტონები,რამაც ჩემზე დიდი გავლენა მოახდინა .“

სამხატვრო აკადემიაშიივე იღებს დასაბამს მის მიერ ძველი ქართული ხელოვნების ძეგლების შესწავლა შესწავლა და დასავლეთ ევროპის განსაკუთრებით კი იტალიური რენესანსის ეპოქის ხელოვნებით გატაცება.

1931 წლიდან საბჭოთა კავშირის დიდი თეატრისა და თბილისის ოპერისა და ბალეტის მხატვარი სერგო ქობულაძე თეატრში კოტე მარჯანიშვილმა მიიწვია 1932 წელს.ამ დროიდან მისი მოღვაწეობა მჭიდროდ იყო დაკავშირებული თეატრთან. სერგო ქობულაძემ გააფორმა სპექტაკლები თბილისის კოტე მარჯანიშვილის სახელობის და რუსთაველის სახელობის თეატრებში, ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრში და მოსკოვის დიდ თეატრში.

1930 წლიდან სისწემატიურად მონაწილეობდა გამოფენებში, რომლებიც თბილისში ,მოსკოვსა და სხვა ქალაქებში ეწყობოდა.

1950 -იან წლებში მისი ნმუშევრები გაიგზავნა ვენეციასა და ლოდონში.

1930-1932 წლებში მუშაობდა მოსკოვსა და ლენინგრადში. 1930 წელს აკადემიის კურსის დამთავრების შემდეგ მიემგზავრება მოსკოვსა და ლენინგრადში მუზეუმებში დაცული ძველ ოიტატთა სურათების გასაცნობად.წარსული ეპოქებისადმი ინტერესი, რომელსაც მხატვარი ინარჩუნებდა.

1939 წლიდან სერგო ქობულაძემ პედაგოგიური მოღვაწეობა დაიწყო თბილისის სამხატვრო აკადემიაში,სადაც შემდგომ პროფესორი, აკადემიკოსი, ხატვის კათედრის ხელმძღვანელი და ერთ ხანს რექტორი იყო. 1957 წელს მიანიჭეს პროფესორის წოდენა,1952-1959 წლებში აირჩიეს აკადემიის რექტორად. 1958 წელს გახდა საქართველოს სახალხო მხატვარი, სსრკ-ის სამხატვრო აკადემიის წევრ-კორესპოდენტი,

1961 წელს ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრისათვის სერგო ქობულაძემ მოხატა საზეიმო ფარდა.ს. ქობულაძემ გამოიკვლია ანტიკური და ქართული არქიტექტორული ძეგლების კომპოზიციიური აგების პრინციპი.

1972 წლიდან ს. ქობულაძე ხელმძღვანელობდა საკავშირო სამხატვრო აკადემიის თბილისის გრაფიკის შემოქმედებით სახელოსნოს, რომელსაც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ქართველი ახალგაზრდა გრაფიკოსების აღზრდის საქმეში.

სერგო ქობულაძე გარდაიცვალა 1978 წელს. დაკრძალულია მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა დიდუბის პანთეონში. გარაცვალების შემდეგ მიანიჭეს რუსთაველის პრემიის ლაურეატობა.

### გიორგი ხაჭაპურიძის ქუჩა

იგი იწყებოდა მდინარე ბჟუჟის ხიდიდან ანასეულის ასახვევამდე.

გიორგი ხაჭაპურიძე დაიბადა 1892 წელს ლიხაურის თემის სოფელ ჭანიეთში, სამხედრო ოფიცრის ვასილ ხაჭარურიძისა და მარიამ ანთიძის ოჯახში, სწავლობდა ქქუთის დაწყებით სკოლაში,შემდეგ მამამისი, რომელიც სამხედრო მოსამსახურე იყო ერევანში გადაიყვანეს,. იქ დაამთავრა გიმნაზია.1 1913 წელს შევიდა მოსკოვის უნივერსიტეტის ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტზე, რომელიც დაამთავრა 1920 წელს. 1917-20 წლებსი მუშაობდა რსფსრ განათლების სახალხო კომისარიატში. 1921 წელს დაბრუნდა საქათველოში და დაინიშნა პოლიტიკურ-საგანმანათლებლო სამსახურში. 1924-1935 წლებში იყო პოლიტიკური ინსტიტუტის თბილისის ფილიალის დირექტორის მოადგილე. 1937-42 წლებში იყო თსუ პროფესორი ჯერ სასწავლო, შემდეგ სამეცნიერო დარგში, 1943 წლიდან იყო ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის განყოფილების გამგე.

1935 წელს გახდა ისტორიის მეცნიერე-ბათა დოქტორი.1939 წელს საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრკორესპოდენტია. 1941 წლიდან საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი. ძირითადად იკვლევდა XIX საუკუნისა და საბჭოთა პერიოდის საქართველოს ისტორიას გარდაიცვალა 1957 წელს დაკრძალულია თბილისში.

### ექვთიმე თაყაიშვილის ქუჩა

ყოფილ აბაშიძის ქუჩას ექვთიმე თაყაიშვილის სახელი დაერქვა გასული საუკუნის 90-იან წლებში, როცა დაიშალა საბჭოთა კავშირი და საქართველოში მოხდა ქალაქებისა და ქუჩების სახელების შეცვლა.

### ექვთიმე თაყაიშვილი

ექვთიმე (ღვთის კაცი) დაიბადა სოფელ ლეხოურში (როგორც თავად ეძახდა მშობლიურ სოფელს) 1863 წლის 3 იანვარს, სწავლობდა პირველად ოზურგეთის სამაზრო სასწავლებელში (მის მიერ შედგენილი ავტობიოგრაფიის მიხედვით). როდესაც მაზრის სასწავლებელი გადაკეთდა საქალაქო სასწავლებლად ექვთიმეს სწავლის დამთავრება მოუხდა ქალაქ ფოთში. შემდეგ შევიდა ქუთაისის კლასიკური პროგიმნაზიის მეორე კლასში, რომელსაც განაგებდა ინსპექტორი იუდინი, ას მშვენივრად ჰქონდა დაყენებული პროგიმნაზიის საქმე და სახელგანთქმულიც იყო და ეს სახელი მას შერჩა მას შემდეგაც, რაც ის გარდაიცვალა. ასე, ,რომ გიმნაზიაში რამე, რომ შეგვცდენოდა, მასწავლებელი მაშინვე გვეტყოდა ხოლმე:“

პროგიმნაზიის დამთავრების შემდეგ შევიდა ქუთაისის გიმნაზიის მე-5-ე კლასში. გიმნაზია დაამთავრა 1982 წელს.შემდეგ შევიდა პეტერბურგის საისტორიო და საფილოლოგიო ფაკულტეტზე. კურსი დაამთავრა 1887 წელს, დაბრუნდა საქართველოში და გახდა როგორც თავად წერს სხვადასხვა დროს ლათინურის, ბერძ-ნულის, ისტორიის, გეოგრაფიის მასწავლებელი სათავადაზნაურო სკოლაში. რომელიც მაშინ მოიცავდა 5 კლასს. მაგრამ მალე კლასები დაიხურა უფულობის გამო, ბოლოს დარჩა 2 კლასი ექვთიმე თაყაიშვილი გადასულა შტატგარეთ მასწავლებლად ლათინური ენისა და ისტორიის მესამე კლასიკურ გიმნაზიაში, როცა ამ გიმნაზიაში მარტო ორი კლასი დარჩენილა ექვთიმესთვის შეუთავაზებიათ გამგეობა, მაგრამ ექვთიმეს უარი განუცხადებია. რამდენიმე ხნის შემდეგ თავი დაუნებების გიმნაზიისათვის და დაუარსებია საისტორიო საეთნოგრაფიო საზოგადოება და ამის შემდეგ შეუდგა სამეცნიერო მუშაობას 1895 წელს იქორწინა ნინო პოლტორაცკაიაზე, რომელიც სიცოცხლის ბოლომდე ექვთიმეს ერთგული თანამგზავრი იყო.. შემდეგ, როგოც თავად წერს მენშევიკთა მთავრობა გაიხიზნა საფრანგეთში. და განძეულობაც იქნა გატანილი. დამფუძნებელი კრების გადაწყვეტილებით განძეულის მეთვალყურედ ექვთიმე თაყაიშვილი იქნა დანიშნული.“...გადავარჩინე გაყიდვისაგან...ობოლენსკის ქვრივისაგან (სალომე დადიანი) ჩვენი განძეულობა, რომელმაც თითქმის ნახევარი ჩვენი განძეულობა მისი მამის სამეგრელოს მთავრის კუთვნილებად გამოაცხადდა.საქმე სასამართლომდეც მივიდა,რომელიც 7 წელიწადს გასტანა, ობოლენსკაიამ საქმე წააგო.

1945 წლის 11 აპრილს ეროვნული განძი მცხოვან მეცნიერთან ერთად სამშობლოში დაბრუნდა.

იგი ბიოგრაფიას ამთავრებს იმით, რომ საბჭოთა მათვრობამ მისი ღვაწლი დიდად შეაფასა და მიანიჭა უაღრესი პატივისცემა, დანიშნული იქნა პროფეესორად სახელმწიფო უნივერსიტეტში და არჩეული იქნა აკადემიის ნამდვილ წევრად. მას საზღვარგარეთ ყოფნისას, მეცნიერული მუშაობა არ მიუტოვებია იქ გამოსცა ლეჩხუმსვანეთის ექსპედიციები 1907 და 1917 წლებისა, აგრეთვე მრავალი სხვა სტატიები.

ახლა მივუბრუნდეთ ემიგრაციაში წასვლამდე საქართველოში მის მოღვაწეობას .ექვთიმე თაყაიშვილმა ჯერ კიდევ სტუდენტობის დროს დაისახა მიზნად ქართულ სიძველეებზე ზრუნვა .მოგვიანებით თავის საქმიანობის შესახებ წერდა: *,,საქართველო მოვიარე და დავინახე, თუ რა უზარმაზარი მასალაა განწირული დავიწყებასა და დაღუპვისათვის, პირდაპირ ამიტანა ფანატიკურმა მისწრაფებამ, რაც შეიძლება მეტი მომესწრო, გადამერჩინა, მით უმეტეს, რომ ჩემი თანამედროვეთაგან აღარავინ მისდევდა ამ საქმეს. სულ იმას ვშიშობდი ყოველ ფეხის ნაბიჯზე აი, ეს არ დაიეკარგოს, აი, ეს არ წახდეს მეთქი. ვცდილობდი ყველაფერი ამეწერა, გადმომეღო, ჩამეხატა, რაც შეიძლება მეტი გამომეკვლია, შემეძინა, შემომეწირებინა, არაფერი დამეკარგოს მეთქი*

ექვთიმე თაყაიშვილის სახელს უკავშირდება არა მარტო, თავდადებული სამეცნიერო და საზოგადოებრივი მოღვაწეობა არამედ საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესიის სიწმინდეების დაცვა, ჩვენი საგანძურის გადარჩენა.

შემდეგ იყო ქართველთა შორის წერაკითხვის გამავრცელებელი საზოგადოებაში თანამშრომლობს, ექსპედიციების დროს მოძიებულ მასალებს კი აღნიშნულ დაწესებულების ხელნაწერთა განყოფილებას სწირავს.

XIX საუკუნის 90-იანი და XX საუკუნის 10-იან წლებში საქართველოს სხვადასხვა კუთხეში აქტიურ არქეოლოგიურ ექსპედიციებს აწყობს. მან ფეხით შემოიარა გურია, სამეგრელო, ქართლი კახეთი, აღწერა და აზომა უამრავი ეკლესია მონასტერი, შეაგროვა, უნიკალური ეპიგრაფიკული მასალა, დაღუპვას გადაარჩინა მრავალი ქართული ხელნაწერი და საეკლესიო სიძველე, ცალკე აღნიშვნის ღირსია მისი ხელმძრვანელობით 1902-1907-1917 წლებში სამხრეთ საქართველოში მოწყობილი ექსრედიციები.

ექვთიმე თაყაიშვილმა დიდი ამაგი დასდო ეკლესია-მონასტებში განადგურების პირას მისული შემორჩენილი ფრესკების გადმოღებას,1912 წლიდან 1917 წლამდე მან 73 ფრესკის პირი გადმოიღო და მუზეუმს გადასცა .მას გულს უკლავდა დანგრევის პირას მისული მონასტრების მდგომარეობა.

ექვთიმე თაყაიშვილი არა მარტო საეკლესიო სიძველეების გადარჩენაზე ზრუნავდა, არამედ ჩველი ქართული ხელნაწერების გამოცემასაც ახერხებდა.

ექვთიმე თაყაიშვილის სახელს უკავშირდება პელაგია გურიელის ნაქონი ,,ვეფხისწყაოსნის“ გადარჩენა. აი მის მოგონება: ,, *ერთი ნესტორ წერეთელი იყო საჩხერელი დიდი თავადი და იმას ცოლად ჰყავდა გურიელის ასული, სახელად პელაგია, ნესტორი გარდაიცვალა და მისი ქონება, მათ შორის ,,ვეფხისტყაოსანი“ მის ცოლ-შვილს დარჩა. ხელნაწერს თურმე ყდა ჰქონია გაფუჭებული და დედას უთხოვნია ვაჟიშვილებისათვის, გააკეთებინეთო. იმათაც წამოუღიათ თბილისში და მართლაც კარგი გაუკეთებიათ ხავერდისა, მაგრამ მერე ჩვენებური თავადიშვილური დაუდევრობით ეტლში დარჩენიათ და დაუკარგავთ, მათ შემდეგ ის ეტლი უქირავებია ცნობილი ქართველი ვაჭრის ფორაქიშვილის ერთ ნოქარს და ის ნოქარიც ამდგარა და მიუტანია მეწარმე დავით სარაჯიშვილისათვის, რომელსაც სამი თუმანი მიუცია. ხელნაწერში, ეს მაშინ როცა ამ ხელნაწერში რამდენიმე ათეული საუცხოო მინიატურა იყო და თითო მათგანი გვიღირდა ას მანეთად. ცოტა ხნის შემდეგ დავით სარაჯიშვილმა მიმიწვია სადილად. კვირა დღე იყო, სტუმრები ჰყავდა,შევედი თუ არა მომცა ის ხელნაწერი::აი, საშენო,საშენოო! მოვკიდე ხელი და ვუთხარი:,, ამას თან წავიღებ და გულმოდგინედ შევისწავლი მეთქი“.წაიღე ოღონდ მალე დამიბრუნე, ბარონ დე ბაის უნდა ვაჩუქოო, მაგრამ არ უნდა მეთქი გავიფიქრე გუნებაში. რამდენიც მომიკითხა სარაჯიშვილმა, იმდენი ვუპასუხე, ჯერ კიდევ ვიკვლევ არ მომითავებია მეთქი, ამასობაში ის ბარონი გაემგზავრა საქართველოდან. მერე თვითონ სარაჯიშვილი წავიდა საზრვარგარეთ, მაგრამ სამაგიეროდ მისმა ცოლმა დრო და დრო კაცი გზავნა-,,ხელნაწერი დამიბრუნეო“. მე ვოფიქრე გუნებაში ესენი ჩანს არ მომასვენებენ მეთქი და წერა-კითხვის საზოგადოების ბიბლიოთეკის მუზეუმს გადავეცი... აღვწერე და კიდევაც გამოვეცი ,,*описаниеш*“-ში..*

*ჩამოვიადა სარაჯიშვილი საზღვარგარეთიდან და ისევ მომკითხა ხელნაწერი, ცოდვას ვერ დავიდებ კისერზე, ნამდვილად პატრიოტი კაცი იყო, მაგრამ საკვირველია პირდაპირ აი ასეთ რამეებს სჩადიოდა ხოლმე, რაღაცა ღვთის რისხვა იყო ჩვენს თავს, როცა მკითხა რა უყავიო,ვუთხარი: ,,კაცო ჩამომეხსენი ამ ,,ვეფხისტყაოსანი“,ვიღაცა გადამთიელს,რომ გინდა გაატანო მაიცადამაინც აქაოდა ბარონიაო, აი შენი სახელით შევწირე წერა-კითხვის საზოგადოებას და კიდევაც გამოვეცი მეთქი“ თანაც ვაჩვენე ის ,,описание“,ეამა შიგ, რომ მისი სახელით იყო ხელნაწერი შეტანილი და გაეცინა, კარგიო“. საზოგადოება დიდ პატივს მცემდა,მაგრამ ასეთი სახელიც მქონდა მისჯილიი: ,,ექვთიმე თაყაიშვილს თუ ჩაუვარდა ხელნაწერი ხელში, მერე მორჩა დაკარგულიაო. ხშირად ვინმე კერძო პირს იშვიათი ნაკეთობის ნივთს გამოართმევდა და ეტყოდა: სახლში წავიღებ, შევისწავლი და რამდენიმე დღეში დაგიბრუნებო. მეორე დღეს გაზეთში განცხადებას აქვეყნებდა ამა და ამ კაცმა საქართველოს მუზეუმს ესა და ეს ნივთი შესწირაო.“*

.ექვთიმე თაყაიშვილის სიყვარული და თავდადება ქართული ძეგლებისა და სიძველეთა აღმოჩენის შესახებ კარგად არის გადმოცემული **სარგის ცაიშვილის** მოგონებებში: ,, *ერთხელ ექვთიმემ მიამბო: ,, ერთი ძმა მყავნდა ნიკო, ოზურგეთში ცხოვრობდა, ერთხელ დეპეშა მომცა ავად ვარო, მაგრამ ჩემი მოუცლელობის გამო ვერ ჩავედი, ოღონდ წამლები მივაშველე და ზომები მივიღე, რომ კარგ ექიმებს ემკურნალათ მისთვის, ნამეტანი ნაწყენი დამრჩა და რომ შევხვდი მითხრა: – სულელი ვარ ჩემი ავადმყოფობა კი არ უნდა მეცნობებინა, არამედ დეპეშით უნდა მომეწრა: ნაიდენა არხეოლოგიჩესკაია ჟეშტუნკა და ვნახავდი კისრისტეხით თუ არ ჩამოხვიდოდიო“.*

როგორც ამბობენ მთელი მისი ცხოვრება იყო წირვა აღვლენილი ღვთისადმი, საქმიანობა ამ ზებუნებრივი კაცისა-უდიდესი ზნეობით, სიყვარულით და რწმენით საქართველოს ისტორიის პირველი წყაროების შეკრება დაცვა, მეცნიერული აღწერა გაშუქება და გამოცემები. საზღვარგარეთ გატანილი სამუზეუმო განძეულობის უნაკლო დაცვა-გამდიდრება და სამსობლოში დაბრუნება, ეროვნულ გმირობად შეირაცხა დამაშვრალ მამულიშვილს მადლიერმა ხალხმა ,,საქართველოს მეჭურჭლეთუხუცესი“ უწოდა. წმინდა სინოდმა კი 2002 წლის 17 ოქტომბერს გამოხატა ღვთისა და ერის ნება და წმინდა დასში შერაცხა ექვთიმე ღვთის კაცის სახელით. ხსენება 3 (16 იანვარი).

ასეთია მოკლედ იმ ბუმბერაზი გურულის ბიოგრაფია და მოღვაწეობა,რომელიც ამბობდა :,,სხვა სოის და გუჯაბის ხალხი ვართ გურულები-ო“.

**მანანა ლომაძე,**

ოზურგეთის სამუზეუმო გაერთიანების ფონდების მთავარი მცველი

## ნოდარ დუმბაძის სახელობის IV საერთაშორისო ფესტივალი

# „სამშობლოს გაწირვის უფლება არ ჰქონდა მას, როგორც ბაგრატიონს“...



5 ივლისს, ოზურგეთის ალ. წუწუნავას სახელობის სახელმწიფო დრამატულ თეატრში, ნოდარ დუმბაძის სახელობის, რიგით მეოთხე თეატრალური ფესტივალი გაიხსნა. 15 ივლისის ჩათვლით, ოზურგეთის თეატრის სხვადასხვა სცენა და ჩოხატაურის თეატრი 26 სპექტაკლს უმასპინძლებს. ჩვენი ქვეყნის, თუ ევროპისა და აზიის სხვადასხვა ქვეყნიდან. საპატიო სტუმრები სტუმრობენ ოზურგეთს.. ფესტივალის გახსნას საქართველოს კულტურის, სპორტის და ახალგაზრდობის მინისტრი, თეა წულუკიანი დაესწრო. უკვე ტრადიციად ქცეულ, ამ ლამაზი ღონისძიების ერთ-ერთი დიდი მხარდამჭერი. ფონდ „ქართუს“ დაფინანსებით რესტავრირებული და განახლებული თეატრი, ყველა მოთხოვნას აკმაყოფილებს ფესტივალის მაღალ დონეზე ჩასატარებლად, .და აქვე, ვერ გავექცევით ოზურგეთის თეატრის მესვეურთა ასევე უდიდეს შრომას, და აი... , ოზურგეთის თეატრს ასეთი საპატიო ვალდებულება ერგო. იგი ორ საიუბილეო თარიღს - ნოდარ დუმბაძის 95, ოზურგეთის თეატრის 155 წლის იუბილეს დაემთხვა და ქართული (და არა მარტო ქართული) მწერლობის პოპულარიზაციას უწყობს ხელს.

ფესტივალი გახსნა თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელმა, საქართველოს სახალხო არტისტმა, არაერთი რეგალიის მფლობელმა ვასილ ჩიგოგიძემ. მოკლედ, მაგრამ ჩვეული სიტყვაქარგულობით, ჩამოატარა დარბაზში ხიბლი ხელოვნებისა და თავად, ნოდარ დუმბაძისეული ხელოვნების ხიბლი.

მწერალი, პოეტი, თეატრმცოდნე - ჟიურის წარმომადგენლებია. 7 წევრი, ამ ერთი კვირის განმავლობაში, შეაფასებს სპექტაკლებს სხვადასხვა ნომინაციით. ჟიურის თავმჯდომარე ნინია სადღობელაშვილი, გახლავთ.

სიმბოლურია, როცა ნოდარ დუმბაძის სახელობის ფესტივალი, თბილისის ნოდარ დუმბაძის სახელობის მოზარდ მაყურებელთა თეატრის მიერ დადგმული, ბაბუას მოსახელე შვილიშვილის, **ნოდარ მაჭარაშვილის** ისტორიული რომანის **„ავი მუსაიფი“**-ს“ მიხედვით შექმნილი, ამავე სახელწოდების სპექტაკლის პრემიერით დაიწყო. საფუძველი — წარწერა ხმალზე „- მე ვარ ავი მუსაიფი, კახთ ბატონის ირაკლისა.“

ინსენირების ავტორი და რეჟისორი— დიმიტრი ხვთისიაშვილი; მხატვარი — ბარბარა ასლამაზიშვილი; კომპოზიტორი — დავით თავაძე; ქორეოგრაფი — გია მარღანია; სასცენო ბრძოლა და ქართული ცეკვის შესახებ კონსულტაცია — მურო გაგოშიძე; მუსიკალური გამფორმებელი — ზურაბ გაგლოშვილი. სასცენო ბრძოლა — პაატა მხეიძე.

მსახიობები: ნიკოლოზ ფაიქრიძე, ერეკლე მეფის ახალგაზრდობისა და მისი შვილების ვახტანგისა და ლეონის როლით არის წარმოდგენილი, ხოლო დავით ხახიძე, ხანდაზმულ მეფეებს, ერეკლეს მამას — თეიმურაზ მეორესა და თავად ერეკლეს ასახიერებს.

სცენის დეკორაცია: ციხის ქონგურების ფრაგმენტები ისტორიულ ექსკურსს წარმოადგენს, ხოლო მოქმედ პირთა სამოსი, თანამედროვეობასთან კავშირს. უფრო სწორად, კვალდაკვალ მდევია ადამიანთა..

სპექტაკლიის ერთობლიობას ქმნის როგორც ისტორიული, ასევე მხატვრული პერსონაჟები.

მე-18 საუკუნის უმძიმესი, პერიოდი. ერეკლე II-ის მეფობის ხანა.

მთხრობელი შემოჰყავს რეჟისორს სცენაზე, *„— სვეტიცხოველში დავდიოდი საფლავებს შორის და სხვადასხვა საქართველოს ვხედავდი...ზოგი კეთილი იყო, ზოგი ბოროტი.“*, რადგან სიკეთისა და ბოროტის შერკინებაა ეს ცხოვრებაც თავად, სპექტაკლის შემოქმედებითმა გუნდმა, თანამედროვეობა შეასახლა ისტორიულ ფრაგმენტებში და თავად ისტორია შემოიყვანა დღევანდელობაში,

ერეკლეს გულისძგერა ისმოდა სცენაზე და თუმცა დიდ ხანს და მონოტონურად, მაგრამ მაინც მიჰყვებოდა სპექტაკლს ბოლომდე.

*„—აბუჩად აგდებული ერი შველას ითხოვდა, თუმცა, როგორც ყოველთვის, არავის ეცალა ჩვენთვის“...* და მაინც ევროპისკენ მიმართა თავისი ხომალდის საჭე ერეკლემ, ისევე, როგორც არაერთმა მისმა წინაპარმა.

ამ ხნის განმავლობაში, არ დაუსვენია ერეკლეს მახვილს, მტერთან ავად მომუსაიფეს. შესძლო კახეთის გადარჩენა, ქართლ-კახეთის გაერთიანება.

საინტერესოა თამარ დედოფლის საუბარი შვილთან, - *„მე და თეიმურაზს ერთად გვძულდა და ერთად გვიყვარდა ჩვენი ქვეყანა. თუ არ გძულს, ვერ შეიყვარებ... გვძულდა ცრუ პატრიოტიზმი, ღალატი... გვიყვარს ჩვენი რწმენა, მიმავალი....“* იქვეა კარგად დასანახი, ასე იყო და ასეა დღესაც, რადგან კვლავ გავიმეორებთ, ეს ყველაფერი ხომ კაცთა მოდგმის კვალდაკვალ მდევია, მოგვწონს თუ არა . ასევე საინტერესოა, სარწმუნოებისადმი მოკრძალებული დამოკიდებულება მწერლისა და რეჟისორისა.

შემოქმედებითმა ჯგუფმა, რომელიც კარგად გამოხატავს სპექტაკლში სიყვარულსა და პატივისცემას დიდი მეფისადმი, არა გაიდეალებული მეფის მზა სახე მიაწოდეს მაყურებელს, არამედ მისი ადამიანური ბრძოლები, სუსტი და ძლიერი მხარეებით. რადგან, *„მეფეებიც ხომ ადამიანები არიან“*, თუმცა ადამიანად ყოფნა, იმთავითვე არ დაეწესა პატარა კახს, რადგან *„სამშობლოს გაწირვის უფლება არ ჰქონდა მას, როგორც ბაგრატიონს და მეფეს... სხვაგვარად დაიკარგებოდა საქართველო“.* 6 ათეულ წელზე მეტი მიითვალა ერეკლესეულმა სამეფო ტახტმა და უკვე მხცოვანმა მეფემ, არაერთი ღალატისა და უბედურების გადამტანმა, როცა, მართლა ვეღარ ხედავდა საშველს ვერსაით, სევდიანი მზერა მიაპყრო ჩრდილოეთს.





ისევ საფიქრალი ბედი ქართლისა, რადგან, ძლიერი ქვეყნებით გარემოცულ, მათგანვე სათავისოდ გაზომილ-აწონილ საქართველოს, ხშირად უწევდა და სამწუხაროდ, დღესაც უწევს, ისე მართოს თავისი ხომალდის საჭე, ქვეყანა რომ არ ჩამოიქცეს, არ გადაიჩეხოს, და საამქვეყნოდ დააბრუნოს .

**ნინო ნიკოლაიშვილი.**

# მერე რაა, რომ იდეაც დაიტირა სოფელმა და იდეისთვის შეწირულებიც.



მიხეილ ჯავახიშვილის ნაწარმოების „შერცხვენილები“ მიხედვით შექმნილი ორ მოქმედებიანი სპექტაკლი - „სოფელსა შინა“ , ბათუმის ილია ჭავჭავაძის სახელობის პროფესიულმა სახელმწიფო დრამატულმა თეატრმა, ფესტივალზე 6 ივლისს წარმოადგინა.

რეჟისორი — ალექსანდრე ქანთარია, თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი. მხატვარი — გოგლა გოგიბერიძე; კომპოზიტორი — ბადრი ბაგრატიონ-გრუზინსკი; ქორეოგრაფი — კოტე ფურცელაძე; რეჟისორის თანაშემწე — ზვიად მურვანიძე; თეატრის ოცდახუთმა მსახიობმა, შესძლო თავიანთი როლის კარგად წარმოჩენა.

ჯავახიშვილისეული სტილი, მძიმე დიალოგები და რეალობის შეუფერადებელი გადმოცემა შენარჩუნებულია სპექტაკლში.

დასაწყისი, იდეისთვის ბრძოლა, „გაუმარჯოს ერთობას“, თუმცა ვისთვის, იდეისთვის, ვისთვის პირადი ამბიციის, ან თუნდაც საჭიროებისთვის.... იმთავითვე არ ეწერა ფრთაშესხმა უკვე სამარეგათხრილ იდეას, რაზედაც თავიდანვე, ჩუმად მეტყველებენ სასცენო დეკორაციები.. ქაოტური გარემო, საფლავის ლოდებთან მიდგმული აკვანი. ქარისგან დროდადრო მოჭრიალე კარი — მთხრობელი დაცარიელებულ ოჯახთა ვარამისა. სამარის მთხრელი მთავარი პერსონაჟი. ჭრელი სოციუმი. ყველა თავისი საქმით დაკავებული. აქ იბრძვიან თავის გადასარჩენად, ყოფითი პრობლემებისთვის, ძალაუფლებისთვის, არ იციან განსხვავებული აზრის მოსმენა. თუმცა იქვე, ერთგულებაც შეუძლიათ. მოძალადისადმი მორჩილების სიმბოლოდ, შემოქმედებითმა კოლექტივმა თეთრი ბაირაღები შეარჩია. მატარებლით შემოსულ მოძალადე ჯარსაც სუფრა დაახვედრეს პატი-ებისთვის, თუმცა ამაოდ.

ჯავახიშვილის ერთი ფრაზიდან, — *„თუ საჭირო გახდა, ბელადი თუნდაც ხის ფუღუროდან გამოვა“.* მაგრამ რა ელოდება ბელადს. ეს კითხვა არც დასმულა, იმთავითვე იყო ცხადი., რადგან მშრალი, გრძნობადაცლილი ყვირილი — „გაუმარჯოს ერთობას“, გულს ვერ ჩაწვდა გრძნობის გარეშე. „ყვირილი ადვილია, საქმის კეთებაა ძნელი“.

იდეისთვის მებრძოლი შალვა — მამუკა მანჯგალაძის პერსონაჟი არის ერთობის ხელმძღვანელი. რომელიც მშობელთა და საყვარელი ქალის არაერთი თხოვნისა თუ მოთხოვნის მიუხედავად, არ თმობს თავის საქმეს. საქმეს, რომელსაც ასრულება არ ეწერა. ოჯახს მისი არ ესმოდა და მას ოჯახისა, ამიტომაც სთავაზობს მათ „გამოსავალს “- „დამთმეთ“. აქ კი დათმობა, სულ სხვა წარმოსახვითაა დასანახი. .

*„— ამათ ბევრი არაფერი მოეთხოვებათ, მაგრამ შენ... შენ გჯერა, რომ ეს ხალხი არ გიღალატებს?* — თანასოფლელის კითხვაზე პერსონაჟი პასუხობს, რომ სჯერა მათი, თუმცა მისი ჩაფიქრებული სახე მაინც სხვას მეტყველებს. კარგად ჩანს, არც ის სოციუმი იყო მზად, ებრძოლა იდეისთვის და არც თავად ხელმძღვანელი იყო მათი მოიმედე ბოლომდე.

იქვე გვთავაზობენ ფორმულასაც, რითაც თავს იმართლებენ პერსონაჟები *„ მეტი გზა არ არის, ძალას უნდა დაეთმოს გზა“...*



სპექტაკლში კარგადაა წარმოჩენილი, უცხო ძალა, როგორ შემოდის ხმაურით სოფელში, როგორ გადაწვდა, მოაოხრა იგი. შიში დაითესა და შიშდათესილ სოფელსაც ადვილად დაეპატრონა. .სოფლისავე მოთხოვნით, მორჩილად მიდის მისი ოჯახის გამანადგურებელ მოძალადეებთან ერთობის ხელმძღვანელი. იცის იქვე დამთავრდება სიცოცხლეც.

მერე რაა, რომ იდეაც დაიტირა სოფელმა და იდეისთვის შეწირულებიც.

დარჩა ყველაზე მთავარი: — სპექტაკლშივე დასმული ფრაზა, იოანეს სახარებიდან, პასუხგაუცემელიც და პასუხგაუცემელიც, *„სოფელსა შინა იყო და... სოფელმან ვერ იცნო იგი“...* კაცთა მოდგმის სულიერებასა და ქვეყნის ბედზე დამაფიქრებელი.

**ნინო ნიკოლაიშვილი..**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| წვიმა +13+20 | მზე, ღრუბელი +13+24 | მზე, +14+23 | მზე, +17+23 | მზე, +18+24 | მზე +19+25 | მზე, ღრუბელი +13+24 |
| 11 ივლისი სამშაბათი | 12 ივლისი ოთხშაბათი | 13 ივლისი ხუთშაბათი | 14 ივლისი პარასკევი | 15 ივლისი შაბათი | 16 ივლისი კვირა | 17 ივლისი ორშაბათი |